



გზამკვლევი

ადგილობრივი თვითმმართველობის
არჩევნებში მონაწილე
ქალი კანდიდატებისთვის

ადამიანის უფლებების სწავლებისა
და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education
and Monitoring Center

თბილისი, 2014

გზამკვლევი ადგილობრივი თვითმმართველობის
არჩევნებში მონაწილე ქალი კანდიდატებისთვის

თბილისი, 2014

პროექტი „ქალი კანონმდებლისა და არჩეული თანამდებობის პირების შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის“ ხორციელდება შვეიცარიის კონფედერაციის ფინანსური და ევროპის საბჭოს ტექნიკური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს შვეიცარიის კონფედერაციის საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტისა თუ ევროპის საბჭოს პოზიციას. მასალის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC).

რედაქტორი: ლაშა ქავთარაძე

დიზაინი: თორნიკე ლორთქიფანიძე

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

მისამართი: შანიძის ქუჩა #3, 0179, თბილისი, საქართველო

ტელ: (+995 32) 223 15 58

ელ.ფოსტა: humanrightsemc@gmail.com

www.emc.org.ge

Facebook: www.facebook.com/RIGHTSEMC

ტირაჟი: 500

ISBN 978-9941-0-6644-3



აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ცენტრი სწერილობითი ნებართვის გარეშე.

სარჩევი

შესავალი.....	5
უფლება თანასწორობაზე	8
ვახუშტი მენაბდე	
1. შესავალი.....	8
2. რეგულირების სფერო.....	9
3. თანასწორობის უფლების პარაზიტული ბუნება.....	9
4. რამდენად ამომწურავია დისკრიმინაციის ნიშნების ჩამონათვალი.....	10
5. თანასწორობა, როგორც კონსტიტუციური პრინციპი	11
6. არსებითად თანასწორნი და არსებითად უთანასწორონი.....	12
7. სახელმწიფოს განზრახვა	14
8. დასკვნა	15
გენდერული უთანასწორობა, ჩაბვრა და სექსიზმი, ფემინიზმის აუცილებლობა	18
თამარ ცხადაძე	
1. ცოტაოდენი სტატისტიკა	18
2. ბიოლოგია თუ საზოგადოებრივი ინსტიტუტები და პრაქტიკა?.....	20
3. რა არის და რა არ არის ჩაგვრა?	21
4. ჩაგვრის ძირითადი ფორმები.....	24
5. ქალების ჩაგვრა: სექსიზმი	26
6. ფემინიზმი და მისი აუცილებლობა	27
ქალების სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა	30
ლელა გაფრინდაშვილი	
1. განმანათლებლობა და განათლების უფლება	30
2. საარჩევნო ხმის უფლება	31
3. ქართველი ქალები და ქალის უფლებები.....	32
თვითმმართველობის რეფორმის ახალი ტალღა საქართველოში.....	40
კოკა კილურაძე	
1. დეცენტრალიზაციის პრინციპების კონცეფცია	40
2. თვითმმართველობის განხორციელების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები.....	41
3. საქართველოს კონსტიტუცია და თვითმმართველობის უფლება.....	42
4. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.....	43
5. ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ	47

წინასაარჩევნო კამპანია/აგიტაცია	50
ლინა ლვინიანიძე	

1. წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) დაწყება და მისი ფარგლები.....	50
2. წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლება და მისი შეზღუდვა	51
3. წინასაარჩევნო აგიტაციის აკრძალვა გარკვეულ შენიშვნებში/ადმინისტრაციული შენიშვნების გამოყენების წესი.....	52
4. სააგიტაციო მასალა და მისი განთავსების წესი	52
5. წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა.....	54
6. პასუხისმგებლობა წინასაარჩევნო აგიტაციის ნორმების დარღვევისათვის	56

საარჩევნო კამპანია და სოციალური მედია	58
ლაშა ქავთარაძე	

1. საარჩევნო კამპანიის დაგეგმვა	58
2. გეგმის განხორციელება	63

შესავალი

პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობა და მონაწილეობა პოლიტიკის სუბიექტობის ფუნდამენტური მახასიათებელია. ხოლო, მისი დეფიციტი – სოციალური მოწყვლადობის პირველადი პროდუქტი. ჩაგვრა და უგულვებელყოფა, უპირველესედ, სწორედ პოლიტიკური პროცესებიდან განდევნით ხასიათდება. ცხადია, პოლიტიკა მხოლოდ ფორმალური პოლიტიკური პროცესების ერთობლიობა არა არის, მაგრამ ასევე ნათელია, რომ აქ პოლიტიკური რეალობა ყველაზე მკაფიოდ ჩანს.

საქართველოში, ქალთა პოლიტიკური ჩართულობა უაღრესად დაბალია. ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების დონეზე, ქალები არაადეკვატურად მცირე პროცენტული მაჩვენებლით არიან წარმოდგენილები. სამწუხაროდ, ქართული სახელმწიფო არ დგამს ქმედით ნაბიჯებს ამ საკითხის მოსაგვარებლად. ქვეყნის მთავარი საკანონმდებლო ორგანო უფროსი კვოტირების სისტემის შემოტანას, რაც კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ჩვენს პოლიტიკის მეინსტრიმში რეალობის სოლიდარული გააზრების დეფიციტია.

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) არის აქტივიზმზე დაფუძნებული ორგანიზაცია, რომლის მიზანიც მოწყვლადი სოციალური ჯგუფების უფლებების დაცვა და ამ ჯგუფების გაძლიერებაა. ქალთა საკითხები, განსაკუთრებით კი, პოლიტიკური მონაწილეობა, არის ის თემა, რომელიც ინსტიტუციურ გაძლიერებას მოითხოვს. ამ ხედვის პრაქტიკული რეალიზაციისთვის, EMC ახორციელებს პროექტს „ქალი კანდიდატებისა და არჩეული თანამდებობის პირების შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის“ შვეიცარიის კონფედერაციისა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით.

პროექტი მოიცავს რამდენიმე აქტივობას. ერთ-ერთის მიხედვით, EMC გააძლიერებს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში დარეგისტრირებულ ქალ კანდიდატებს, მათი დატრენინგების და სამუშაო მასალების მიწოდების გზით. ტრენინგის თემატიკა ექვს საკითხს მოიცავს, რომელთაგან თითოეული დაკავშირებულია პოლიტიკოსის ფუნქციისთან, იყოს ჯანსაღი დებატების ინსპირატორი თემში, რომელსაც იგი წარმოადგენს. ტრენინგის მოდული ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი უფრო თეორიულია და მოიცავს სამ თავს (თანასწორობის ზოგადი კონცეფცია, გენდერული თანასწორობის თეორიული საფუძვლები და ქალთა მოძრაობების ისტორია მსოფლიოსა და საქართველოში), მეორე ნაწილი კი, უშუალოდ იმ მექანიზმებს შეეხება, რომელიც ქალი პოლიტიკოსებისთვის აუცილებელია, პირველ ნაწილში მოცემული პრინციპების პრაქტიკაში განხორციელებისათვის (ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმისა და წინასაარჩევნო აგიტაცია/კამპანიის მარეგულირებელი ნორმების მიმოხილვა,

პრაქტიკული რჩევები საარჩევნო კამპანიის დაგეგმვისას და სოციალური მედიის გამოყენება ამომარჩეველთან საკომუნიკაციოდ).

წინამდებარე ტექსტი, სწორედ, ამ ტრენინგის მასალების წინასაარჩევნო პერიოდში ეფექტური სოციალური და სამოქმედო კამპანიის დაგეგმვაში, მათი დახმარების მიზნით, გამოიცემა.

ვახუშტი მენაბდე

ინსტიტუციური რეფორმის მხარდაჭერის პროგრამის დირექტორი
ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

ვახუშტი მენაბდე

უფლება თანასწორობაზე

უფლება თანასწორობაზე

პასუხი მენაბდე

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

1. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი თანასწორობის პრინციპის ნორმატიული რეგლამენტაციაა. ქვეყნის უზენაეს კანონში წერია: “ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.”

მაგრამ რამდენად საკმარისია ეს ჩანაწერი თანასწორობის უფლების ზედმიწევნით გასააზრებლად? ადამიანის უფლებები სამართლის ძალიან დინამიკური დარგია. ეს ნიშნავს, რომ ცნებების მნიშვნელობა იცვლება, იზრდება, იხვეწება და ა.შ. თუ შევთანხმდებით, რომ კონსტიტუცია ცოცხალი დოკუმენტია, რომელმაც ამ ცვლილებებს ფეხი უნდა აუწყოს, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ყოველდღიური სამართალგამოყენება (სამართლის ნორმების ყოველდღიურ ცხოვრებაში აღსრულება) ის მექანიზმია, რომელიც კონსტიტუციას ამ სიცოცხლეს ანიჭებს.

ამ ტექსტში, პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს: (1) კონსტიტუციის მე-14 მუხლი მხოლოდ კანონის წინაშე თანასწორობის (ვინრო გაგებით) სტანდარტს ადგენს, თუ კანონმდებლისაგან ისეთი კანონების მიღებასაც მოითხოვს, რომელიც თანასწორობას თავისთავად არ აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ? (2) აღნიშნული მუხლი პარაზიტული ბუნებისაა თუ მას დამოუკიდებლად შესწევს უნარი უზრუნველყოს თანასწორობა, როგორც გლობალურ, კონსტიტუციურ სივრცეში, ისე კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებით? (3) არის თუ არა ამომწურავი მე-14 მუხლში არსებული დისკრიმინაციის ნიშნების ჩამონათვალი? (4) რას ნიშნავს კონსტიტუციური თანასწორობა, აბსოლუტურ თუ შეფარდებით თანასწორობას (თანაბარი სასტარტო პირობები)? (5) კონსტიტუცია მხოლოდ პირდაპირ დისკრიმინაციას კრძალავს თუ არაპირდაპირსაც? (6) რა საფეხურების გავლაა საჭირო კონკრეტულ შემთხვევაში დისკრიმინაციის დასასაბუთებლად? (7) არის თუ არა შესაძლებელი განსხვავების გამართლება, თუ ნებისმიერი დიფერენციაცია ავტომატურად დისკრიმინაციაზე მიუთითებს? (8) რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს განზრახვა, უთანასწორო მოპყრობის დადგენისას, მოახდინოს კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფის დისკრიმინაცია?

2. რეპულირების სფერო

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში ვკითხულობთ, „ყველა ადამიანი [...] კანონის წინაშე თანასწორია[...]“. რას ნიშნავს ეს ფრაზა, იგი არეგულირებს ადამიანების თანასწორობას უფლებებით სარგებლობისას, თუ მხოლოდ იმას, რომ არსებული კანონის წინაშე ყველა თანასწორია და არავინ შეიძლება დადგეს კანონზე მაღალა (კანონის წინაშე თანასწორობის ვიწრო გაგება)?

თანასწორობის პრინციპთან დაკავშირებულ, ერთ-ერთი პირველ საქმეში, საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა: საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით უზრუნველყოფილია, რომ ყველა ადამიანი, [...] თანასწორია კანონის წინაშე. ... ამ კონსტიტუციურ პრინციპს აშკარად არ შეესაბამება და პირდაპირ არღვევს სადავო ნორმები.¹ ეს ჩანაწერი საინტერესო მიმართულებას გვაძლევს, რათა ზემოაღნიშნულ კითხვას გაეცეს პასუხი. აქ სასამართლომ თქვა: კონსტიტუცია განამტკიცებს კანონის წინაშე თანასწორობას. თუმცა, იქვე დამატა, რომ კონკრეტული სადავო ნორმა არღვევდა ამ პრინციპს. ეს ჩანაწერი ნიშნავს, რომ მოსაზრება, თითქოს, კონსტიტუცია მხოლოდ ერთგვაროვან სამართალგამოყენებას, იმავე კანონის წინაშე თანასწორობას (ვიწრო გაგებით) განამტკიცებდეს და საკუთრივ კანონმდებლობას არადისკრიმინაციული რეგულირების დადგენას არ ავალდებულებდეს, არასწორია.

ამგვარად, კონსტიტუცია ორ მოთხოვნას აყენებს და გარდა ზემოაღნიშნულისა, მიუთითებს, რომ თანასწორობის პრინციპი, კანონთან მიმართებაში, ერთიანი მიდგომისაკენ გვიბიძგებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კონკრეტული ორგანოს ქმედება (ხელისუფლების სამივე შტო იგულისხმება) უნდა ეფუძნებოდეს კანონს, რომელის გამოყენების დროსაც, დიფერენცირებული ქმედებების უფლება არცერთ მათგანს არ აქვს.

3. თანასწორობის უფლების პარაზიტული ბუნება

მომდევნო საკითხი, რომელიც აქტუალურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის კონტექსტში იძენს, არის ამ მუხლის ბუნება. კითხვა შემდეგია: საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი პარაზიტული ბუნებისაა თუ დამოუკიდებლად შესწევს უნარი იტივრთოს თანასწორობის პრინციპის კონსტიტუციური დაცვა?

ცნობილია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი, რომელიც, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მსგავსად, თანასწორობის უფლებას განამტკიცებს, პარაზიტული ბუნებისაა. ეს ნიშნავს, რომ სასამართლოს მხოლოდ რომელიმე უფლების დამდგენ მუხლთან ერთად შეუძლია დაადგინოს მე-14 მუხლის დარღვევა. ანუ ევროპული კონ-

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პირველი კოლეგიის თბილისი, 2005 წლის 16 თებერვალის N1/2/213,243 გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქეები - უტა ლიპარტია, გიორგი ხმელიძე, ელისო ჯანაშია და გოჩა ლაღუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

ვენციის ხსენებული მუხლი თანასწორობას განამტკიცებს არა ზოგადად, არამედ კონვენციის აღიარებულ უფლებებთან მიმართებით. სასამართლო განხილვისას ჯერ ადგენს დაირღვა თუ არა რომელიმე უფლება და ამის შემდეგ გადადის თანასწორობის საკითხის განხილვაზე.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, დამოუკიდებლად ადგენს უფლებას. მისი გამოყენებით შესაძლებელია როგორც რომელმე სხვა მუხლთან კონტექსტში უფლების დარღვევის დადგენა, ისე დამოუკიდებლად, მხოლოდ მე-14 მუხლის დარღვევის დადგენა.

სწორედ ამის გამო, საკონსტიტუციო სასამართლომ რამდენჯერმე მე-14 მუხლთან მიმართებაში დამოუკიდებლად დაადგინა დარღვევა.² შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი პარაზიტული ბუნების არ არის. იმისათვის, რომ თანასწორობის უფლების დარღვევა დადგინდეს არ არის აუცილებელი რომელიმე სხვა უფლების დარღვევის დადგენა.

4. რამდენად ამომწურავია დისკრიმინაციის ნიშნების ჩამონათვალი?

კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილია დისკრიმინაციის ნიშნები. გრმატიკული თვალსაზრისით, ეს მუხლი ჩამონათვალი არ ტოვებს სხვა ნიშნების მოაზრების ადგილს, არის თუ არა ამომწურავი დისკრიმინაციის ნიშნების სია და შესაძლებელია თუ არა, დისკრიმინაციის დადგენა იმ ნიშნით, რომელიც ამ ჩამონათვალი არ გვხვდება?

ისტორიულად, კონსტიტუციებში ხდებოდა იმ ნიშნების ჩამოთვლა, რომელთა მიხედვით, ადამიანთა ჯგუფებს აერთიანებდათ მათთვის დამახასიათებელი პირადი, ფიზიკური თვისებები, კულტურული ნიშნები ან სოციალური კუთვნილება. ამ ნიშნების კონსტიტუციებში ჩამოთვლა ხდებოდა ზუსტად მათ საფუძველზე ადამიანების დისკრიმინაციის დიდი გამოცდილების არსებობის და, ამასთან, ასეთი მოპყრობის გაგრძელების შიშის გამო (საპასუხოდ).³ 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც საქართველოში საკონსტიტუციო კომისია შეიქმნა, უკვე არსებობდა გარკვეული გამოცდილება როგორც უთანასწორობის, ისე მასთან ბრძოლის, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შექმნილ სახედამხდელო ინსტიტუტებში.

2 2013 წლის 11 ივნისის, #1/3/534 გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მაბაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მხოლოდ მე-14 მუხლთან მიმართებით არაკონსტიტუციურად ცნო ნორმა, რომელმაც უპირატესობა მიანიჭა იმ პირთა ჯგუფს, რომლებიც იძულებით გადაადგილდნენ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ოკუპირებული ტერიტორიებიდან, იმ პირებთან შედარებით, რომლებმაც ასევე იძულებით დატოვეს თავისი საცხოვრებელი ადგილი იმ ტერიტორიებიდან, რომლებიც დასახელებული კანონის მიხედვით არ არის ცნობილი ოკუპირებულ ტერიტორიად, არ მოექცნენ კანონის რეგულირების სფეროში. შედეგად, დევნილის სტატუსი და მისი თანმდევი სოციალური გარანტიები გავრცელდა მხოლოდ იმ პირებზე, რომელთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი მდებარეობდა კანონით განსაზღვრულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე. იმავდროულად, კანონით დაცული სფეროდან გამორიცხნენ ის პირები, რომლებმაც, ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილი პირების მსგავსად, დატოვეს მათი სახლები და უსაფრთხოების გარანტიების ანარსებობის გამო, იქ ვერ ბრუნდებიოდნენ.

3 პირველი კოლეგიის 2010 წლის 27 დეკემბრის #1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II, 3.4;

მე-14 მუხლი დისკრიმინაციის აკრძალვის 13 ნიშანს ჩამოთვლის. გრამატიკული გაგებით, საქართველოს კონსტიტუცია ამომწურავ ჩამონათვალს აკეთებს. ეს კი, ერთი შეხედვით, ტოვებს შესაძლებლობას, კანონმდებელმა გვერდი აუქციოს კონსტიტუციაში არსებულ ჩამონათვალს და ფორმალურად მე-14 მუხლთან შესაბამისი, თუმცა თვისობრივად დისკრიმინაციული კანონი მიიღოს.

მიუხედავად ამისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ შეიბოჭა განმარტების გრამატიკული მეთოდით, გააანალიზა ნორმის ნამდვილი აზრი და დაასკვნა: საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი ადგენს, არა მხოლოდ კანონის წინაშე თანასწორობის ძირითად უფლებას, არამედ კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპს. [...] ამ მუხლში არსებული ნიშნების ჩამონათვალი, ერთი შეხედვით, გრამატიკული თვალსაზრისით, ამომწურავია, მაგრამ ნორმის მიზანი გაცილებით უფრო მასშტაბურია, ვიდრე მხოლოდ მასში არსებული შეზღუდული ჩამონათვალის მიხედვით დისკრიმინაციის აკრძალვა. [...] მხოლოდ ვინრო გრამატიკული განმარტება გამოფიტავდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს და დააკნინებდა მის მნიშვნელობას კონსტიტუციურ -სამართლებრივ სივრცეში.⁴ [...] კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილი ნიშნების ამომწურავად მიჩნევა, თავისთავად გამოიწვევს სასამართლოს მიერ იმის დადასტურებას, რომ ნებისმიერი სხვა ნიშნით დიფერენციაციის შემთხვევები არ არის დისკრიმინაციული, რადგან არ არის დაცული კონსტიტუციით. ბუნებრივია, ასეთი მიდგომა არ იქნებოდა სწორი, რადგან თითოეული მათგანის კონსტიტუციის მე-14 მუხლში მოუხსენიებლობა, დიფერენციაციის დაუსაბუთებლობას ვერ გამორიცხავს.⁵

საქართველოს კონსტიტუციაში არსებული ჩამონათვალი ნამდვილად არ არის და არც შეიძლება იყოს ამომწურავი. რადგან თუ ამ აკრძალვის მიზანს და მის მიზანმიმართულებას მივყევით, ნორმა მიისწრაფვის დისკრიმინაციის აკრძალვისაკენ, რა ფორმითაც არ უნდა იყოს ის გამოხატული.

5. თანასწორობა, როგორც კონსტიტუციური პრინციპი

5.1. აბსოლუტური თანასწორობა

ყველა თანასწორია – შეგვიძლია ამ ორ სიტყვაში მოვაქციოთ კონსტიტუციის მე-14 მუხლი. თუმცა, რას ნიშნავს თანასწორობა, რას ავალებს იგი სახელმწიფოს, აბსოლუტურ თუ შეფარდებით თანასწორობას?

თანასწორობის ძირითადი უფლება სხვა კონსტიტუციური უფლებებისგან იმით განსხვავდება, რომ ის არ იცავს ცხოვრების რომელიმე განსაზღვრულ სფეროს. თანასწორობის პრინციპი მოითხოვს თანაბარ მოპყრობას ადამიანის უფლებებითა

4 მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება 2008 წლის 31 მარტის N2/1-392 გადაწყვეტილება. საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, პ.2;

5 2010 წლის 27 დეკემბრის # 1/1/493 გადაწყვეტილება, II, პ.4;

და კანონიერი ინტერესებით დაცულ ყველა სფეროში.⁶ თანასწორობის პრინციპი არსებითად ყოვლისმომცველია, იგი არის სხვა კონკრეტული უფლების სამართლიანად იმპლემენტაციის მასშტაბი.

ამავდროულად, თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი არ ესწრაფვის ტოტალურ თანასწორობას. ეს შეუძლებელიცაა. ადამიანები იმიტომ არიან ადამიანები, რომ გააჩნიათ ინდივიდუალური მახასიათებლები. ამის წინააღმდეგ მიმართული სახელმწიფოს ნებისმიერი ქმედება ტოტალიტარიზმის ნიშნების მატარებელია. თითოეული ჯგუფი კი იმის გამო არის ასეთად აღიარებული, რომ ისეთი მახასიათებელი (მახასიათებლები) გააჩნიათ, რომელიც სხვა ჯგუფისაგან განასხვავებს, რომელსაც ასევე გააჩნია ნებისმიერი სხვა ჯგუფისაგან გამოსარჩევი ნიშანი. ეს ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, კონკრეტულ შემთხვევაში, უფლება თანასწორობაზე გულისხმობს, ყველა ადამიანის (ჯგუფის) იმდენად თანასწორად განხილვას, რამდენადაც ეს მათი ბუნებიდან გამომდინარეობს. აქ უკვე იკვეთება ის ძირითადი საკითხი, რაც თანასწორობის ორმაგი ბუნების საერთო აზრშია გაერთიანებული. ეს არის ის, რასაც ჩვენ არა ტოტალურ, არამედ კანონის წინაშე თანასწორობას, თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას ვუწოდებთ. მე-14 მუხლის არსის გაგებისთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს კანონის წინაშე თანასწორობის განსხვავებას გათანაბრებისგან. ამ პრინციპის ფარგლებში, სახელმწიფოს ძირითადი მიზანი და ფუნქცია ადამიანების სრული გათანაბრება ვერ იქნება, რადგან ეს თავად თანასწორობის იდეასთან, უფლების არსთან მოვიდოდა წინააღმდეგობაში. თანასწორობის იდეა ემსახურება შესაძლებლობების თანასწორობის უზრუნველყოფას, ანუ ამა თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისთვის ერთნაირი შესაძლებლობების გარანტირებას.⁷

6. არსებითად თანასწორნი და არსებითად უთანასწორონი

თანასწორობაზე მსჯელობისას, ყოველთვის ჩნდება ერთი მნიშვნელოვანი კითხვა, რა განსხვავებაა პირდაპირ და არაპირდაპირ დისკრიმინაციას შორის და სარგებლობენ თუ არა ისინი თანაბარი დაცვის სტანდარტით?

თანასწორობაზე საუბრისას, მთავარი აქცენტი კეთდება ფრაზაზე, რომელიც აყალიბებს ერთგვარ დეფინიციას, რაც შესაძლებლობას გვაძლევს, ვიმსჯელოთ თანასწორობის უფლების დარღვევაზე. ამ განმარტების მიხედვით, დისკრიმინაცია ეს არის, არსებითად თანასწორთა უთანასწოროდ და არსებითად უთანასწოროთა თანასწორად განხილვა. ეს ნიშნავს, რომ დისკრიმინაციად ჩაითვლება, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური დაუსაბუთებელი განსხვავება, რადგან განსხვავება, პოზიტიურიც კი, იწვევს იმგვარ შედეგებს, რაც, სასტარტო პირობებში, ამ უკანასკნელს არათანაბარ, ანუ სხვებთან შედარებით არაპროპორციულ უპირატესობს აძლევს.

საკონსტიტუციო სასამართლომაც განაცხადა, რომ მე-14 მუხლის [...] მიზანია, უზრუნველყოს თანასწორობა კანონის წინაშე, არ დაუშვას არსებითად თანასწორის

6 2010 წლის 27 დეკემბერის # 1/1/493 გადაწყვეტილება, II, პ.4;

7 2010 წლის 27 დეკემბერის # 1/1/493 გადაწყვეტილება, II, პ.1;

განხილვა უთანასწოროდ ან პირიქით.⁸ როგორც უკვე აღინიშნა, საქმე ეხება თანასწორობის პრინციპის პოზიტიურ და ნეგატიურ გააზრებას. მოგვიანებით, სასამართლომ პირდაპირ განაცხადა: საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი კრძალავს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ დისკრიმინაციას.⁹ აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით, სახელმწიფოს ორმაგი ვალდებულება აქვს.

პირობითად, ეს ვალდებულებები შეგვიძლია დავყოთ: ვალდებულებები, რომელთა მიხედვითაც სახელმწიფომ არსებითად თანასწორი პირები არსებითად მსგავს სამართლებრივ რეგულირებაში უნდა მოაქციოს. და ვალდებულებები, სადაც სახელმწიფომ არსებითად უთანასწორო პირებს განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი უნდა შეუქმნას, რაც უნდა ემსახუროდეს უთანასწორო მდგომარეობაში მყოფი პირების ან პირთა ჯგუფების სხვებთან გათანაბრებას, ხოლო ამ უთანასწორობის აღმოფხვრის შემდეგ, კვლავ თანაბარი რეგულირების შემოღების გარანტიას უნდა იძლეოდეს. სხვაგვარად ამას გათანაბრების პოზიტიურ მექანიზმებსაც უწოდებენ. ცალკეულ შემთხვევაში, საკმარისად მსგავს სამართლებრივ ურთიერთობებშიც კი, შესაძლოა დიფერენცირებული მოპყრობა საჭირო და გარდაუვალიც იყოს.¹⁰

ასეთი შემთხვევის საილუსტრაციოდ, კარგი მაგალითია დავა, სადაც გასაჩივრებული იყო სამხედრო კანონმდებლობის ის ნაწილი, რომელიც არ ითვალისწინებდა სამხედრო -სარეზერვო სამსახურის ჩანაცვლებას ალტერნატიული, არასამხედრო სამსახურით.

„მოსარჩელეს მიაჩნდა, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურზე უარის თქმის და მისი არასამხედრო, ალტერნატიული სამსახურით შეცვლის უფლება, რწმენისა და სინდისის თავისუფლების ფუნდამენტური ასპექტია. ხოლო სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის ვალდებულების ყველასათვის თანაბრად დაკისრებით, სამხედრო სამსახურის მიმართ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირებს ეკისრებათ უთანასწოროდ მძიმე ტვირთი იმ პირებთან შედარებით, რომლებსაც სამხედრო სამსახურთან დაკავშირებით არ აქვთ მსგავსი შეხედულებები. მოსარჩელე თვლიდა, რომ არსებითად უთანასწორო მდგომარეობაში მყოფი პირების განხილვა თანასწორად, წარმოადგენს კონსტიტუციის მე-14 მუხლის დარღვევას. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმასა და კონსტიტუციის მე-14 მუხლს შორის და სარჩელი მიიღო არსებითად განსახილველად. შემდგომში კი დაადგინა, რომ სადავო ნორმა მართლაც წარმოადგენდა ჩარევას კანონის წინაშე თანასწორობის უფლებაში.“¹¹

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, აკრძალულია როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი დისკრიმინაცია და ამ პრინციპისგან გადახვევა კონსტიტუციური წესრიგთან კონფლიქტს ნიშნავს.

8 2008 წლის 31 მარტის N2/1-392 გადაწყვეტილება, II. პ.2.;

9 2010 წლის 27 დეკემბრის # 1/1/493 გადაწყვეტილება, II. პ.3;

10 2010 წლის 27 დეკემბრის # 1/1/493 გადაწყვეტილება, II. პ.3;

11 ციტირებულია, თეიმურაზ ტულუში და სხვები, „ადამიანის უფლებები და საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლანორმოების პრაქტიკა“, თბილისი, 2013 წელი, გვ.35.;

6.1. დიფერენცირება და დისკრიმინაცია

აქვე უნდა ითქვას, რომ ყოველგვარი განსხვავება არ წარმოადგენს დისკრიმინაციას. ერთი, შესაძლოა სახეზე არ გვყავდეს არსებითად თანსწორი პირები და მეორე, შესაძლოა, განსხვავება პროპორციული იყოს. პირველზე ზემოთ უკვე გქონდა საუბარი. რაც შეეხება მეორე საკითხს, ამაზე სასამართლომ განამტკიცა შემდეგი სტანდარტი: [...]შესაძლებელია არათანასწორი მოპყრობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება. [...]¹² [...] არსებითად თანასწორი პირების მიმართ, ნებისმიერი განსხვავებული მოპყრობა თავისთავად დისკრიმინაციას არ ნიშნავს. [...] ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დიფერენცირებული მოპყრობისას, ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ დისკრიმინაციული დიფერენციაცია და ობიექტური გარემოებებით განპირობებული დიფერენციაცია. განსხვავებული მოპყრობა თვითმიზანი არ უნდა იყოს. დისკრიმინაციას ექნება ადგილი, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია, მოკლებულია გონივრულ საფუძველს. მაშასადამე, დისკრიმინაცია არის მხოლოდ თვითმიზნური, გაუმართლებელი დიფერენციაცია, სამართლის დაუსაბუთებელი გამოყენება კონკრეტულ პირთა წრისადმი განსხვავებული მიდგომით. შესაბამისად, თანასწორობის უფლება კრძალავს არა დიფერენცირებულ მოპყრობას ზოგადად, არამედ მხოლოდ თვითმიზნურ და გაუმართლებელ განსხვავებას. ზოგადად, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, კონსტიტუციურ უფლებებში ჩარევისას, სახელმწიფომ კერძო პირებთან მიმართებით არ უნდა მიიღოს გონივრულ საფუძველს მოკლებული და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები.¹³ როგორც გამოჩნდა, მხოლოდ დიფერენციაციის დადგენა არ არის საკმარისი თანასწორობის უფლების დარღვევის დადგენისთვის. დამატებით, სასამართლომ უნდა იმსჯელოს რამდენად პროპორციულია ეს განსხვავება და თუ სახელმწიფომ მოახერხა პროპორციულობის დასაბუთება, მაშინ ითვლება, რომ უფლება არ დარღვეულა.

7. სახელმწიფოს განზრახვა

რამდენად აუცილებელია სახელმწიფოს განზრახვის დადასტურება, ფაქტობრივი გაუმართლებელი დიფერენციაციის შემთხვევაში, დისკრიმინაციის დასადგენად?

ხშირად, სახელმწიფოს მიერ კონკრეტული უფლების უგულვებელსაყოფად და სიმართლისთვის გვერდის ასაქცევად, იყენებენ არგუმენტს, რომლის მიხედვითაც, კონკრეტულ სამართალურთიერთობის დროს, შესაძლოა პირის ინტერესი შეილახა, მაგრამ სახელმწიფოს არ ჰქონდა მიზნად პირის უფლების დარღვევა და კონკრეტული ფაქტების ურთერთდამთხვევამ განაპირობა ის შედეგი, რაც დადგა. ამ არგუმენტების ავტორები ყურადღებას ამახვილებენ სახელმწიფოს განზრახვის არსებობაზე, როგორც კონკრეტულ შემთხვევაში უფლების დარღვევის დადგენის აუცილებელ პირობაზე. სასამართლომ ამ საკითხზეც იმსჯელა და დააგინა, რომ [...] კანონის წინაშე თანასწორობის მოთხოვნის დარღვევის დადგენისას, არ არის საავალდებულო, რომ უთანასწორო სამართლებრივი

12 2008 წლის 31 მარტის #2/1-392 გადაწყვეტილება, II, პ.7;

13 2010 წლის 27 დეკემბრის # 1/1/493 გადაწყვეტილება. II, პ.3;

მდგომარეობის შექმნა წარმოადგენდეს შესაბამისი ნორმის მიმღები ორგანოს მიზნს. ამ შემთხვევაში, მთავარია არა [...] განზრახვა, არამედ ის რეალური შედეგი, რაც იქნა მიღებული. [...]»¹⁴ ამ ჩანაწერმა საბოლოოდ დაუსვა წერტილი დისკუსიას სახელმწიფოს განზრახვის დადასტურების აუცილებლობის შესახებ, მათ შორის თანასწორობის უფლებების დარღვევის კონტექსტში.

8. დასკვნა

ეს არის ის ძირითადი საკითხები, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის შესახებ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზისას გამოიკვეთა. შესაძლოა თამამად ითქვას, რომ სასამართლოს მოღვაწეობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თანასწორობის პრინციპის განმარტების და სამართალგამოყენების საქმეში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შეჯამების შემდეგ, შესაძლებელია, შესავალში დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემაც:

1. თანასწორობის პრინციპი საქართველოს კონსტიტუციაში მიუთითებს, არა მარტო კანონის წინაშე თანასწორობაზე, იმ აზრით, რომ სავალდებულოა კანონის ერთგვაროვანი გამოყენება ყველას მიმართ (კანონის წინაშე თანასწორობის ვიწრო გაგება), ასევე გლობალურ თანასწორობაზე, იმ აზრით, რომ სავალდებულოა კანონმდებლობამ შექმნას თანაბარი გარემო ყველა პირისათვის, მათი ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით;
2. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს არ აქვს პარაზიტული ბუნება. ეს ნიშნავს, რომ შესაძლებელია, როგორც მისი დამოუკიდებლად, ისე მეორე თავის სხვა მუხლთან კავშირში გამოყენება, უფლებების დაცვის მექანიზმად;
3. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში არსებული დისკრიმინაციის ნიშნების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი ხასიათის და იგი ღიაა, რაც ნიშნავს, რომ შესაძლებელია დისკრიმინაციის დასასაბუთებლად მიეთითოს არა მარტო იმ ნიშნებზე, რომელიც აქ წერია, არამედ ნებისმიერ სხვაზე;
4. კონსტიტუცია ესწრაფვის არა ტოტალურ თანასწორობას, არამედ ყველასთვის თანაბარი სასტარტო პირობების შექმნას;
5. კონსტიტუცია კრძალავს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ დისკრიმინაციას;
6. დიფერენციაციის დასაბუთებისთვის აუცილებელია, რომ განსხვავებას საფუძვლად ედოს ლეგიტიმური მიზნები; სახელმწიფოს მოქმედება უნდა იყოს არათვითნებური და თანაზომიერი;
7. დისკრიმინაციის დადგენისას, საკმარისია არა მხოლოდ არსებითად თანასწორ პირებთან მიმართებაში დიფერენცირებული მოპყრობის დადასტურება, არამედ აუცილებელია, რომ ეს მოპყრობა ამავედროულად იყოს არაპროპორციული;
8. დისკრიმინაციის დადგენისას, არ არის აუცილებელი, რომ სახელმწიფოს განზრახვა იყოს უთანასწორო მოპყრობა, შესაძლოა სახელმწიფოს მიზნის გარეშე, ფაქტობრივად წარმოშობილი უთანასწორობის გამო, დადგინდეს მე-14 მუხლის დარღვევა.

¹⁴ 2008 წლის 31 მარტის #2/1-392 გადაწყვეტილება, II. პ.6;

გენდერული უთანასწორობა, ჩაბვრა და სექსიზმი, ფემინიზმის აუცილებლობა

თამარ ცხადაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფემინისტებს და, ზოგადად, გენდერული უთანასწორობის პრობლემებზე მომუშავე ადამიანებს ძალიან ხშირად ოპონენტებისთვის უწევთ იმ აშკარა ფაქტის მტკიცება, რომ გენდერული უთანასწორობა (იმ აზრით, რომლითაც უთანასწორობა უსამართლობაა) მართლა არსებობს. ხშირად შეხედბით სკეპტიკოსებს, რომლებიც არ აღიარებენ ან პირდაპირ უარყოფენ იმ ფაქტს, რომ სხვადასხვა სქესის ადამიანებს არ აქვთ თანაბარი შესაძლებლობები, არ აქვთ თვითრეალიზაციისა და თვითგამოხატვის რესურსების თანაბარი წვდომა. წინამდებარე მსჯელობის საგანი სწორედ ეს უთანასწორობაა: მოყვანილი იქნება რამდენიმე არგუმენტი გენდერული უთანასწორობის არსებობის თვალნათლივ გამოჩენისათვის და მისი სხვადასხვა ასპექტის გამოსაკვეთად; ასევე, შემოვა რამდენიმე ცნება, რომელიც სასარგებლოა არსებული უთანასწორობის ამოცნობისა და გააზრებისთვის.

1. ცოტაოდენი სტატიისტიკა

სიტუაციის უკეთ გააზრებისათვის, მოყვანილია ქალებისა და მამაკაცების მდგომარეობის ამსახველი რამდენიმე მაჩვენებელი, იმის გათვალისწინებით, რომ ქალები მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს შეადგენენ:

- მთელ მსოფლიოში, ხელფასის სახით გაცემული შემოსავლიდან, ქალები ჯამურად იღებენ მესამედზე (35%-ზე) ნაკლებს, ანუ კაცებზე ორჯერ ნაკლებს; ამასთან, ეს თანაფარდობა არ არის კორელაციაში ქვეყნის სიმდიდრესთან.
- მთელ მსოფლიოში, ქალები მამაკაცებზე საშუალოდ 16.5%-ით ნაკლებ ხელფასს იღებენ იმავე კვალიფიკაციისა და რაოდენობის სამუშაოსთვის,¹⁵ ხოლო ქალების საშუალო თვიური ხელფასი, გლობალურად, 25%-ით ნაკლებია კაცებისაზე.¹⁶
- მსოფლიოში წერა-კითხვის უცოდინართა (სულ 775 მილიონი ადამიანი) 66%, ანუ 2/3 ქალია.¹⁷

15 Chubb C., Melis S., Potter L., Storry R., The Global Gender Pay Gap, Incomes Data Services 2008, გვ. 10.

16 Global Wage Report 2010/11, International Labour Office, Geneva, 2010, გვ. 43.

17 CIA Factbook: <https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/fields/2103.html#136>, retrieved at 15:30, May 12, 2014.

- მთელ მსოფლიოში, პარლამენტის წევრების მხოლოდ 21% და მინისტრების მხოლოდ 17%-ია ქალი.¹⁸
- ნობელის პრემიის 851 ლაურეატს შორის, მხოლოდ 45 ქალია (ანუ 5%); ჟურნალ „ფორბსის“ მიერ დასახელებული 2014 წლის 1426 უმდიდრეს ადამიანიდან, მხოლოდ 138-ია ქალი (10%-ზე ნაკლები).
- 1990 წელს, ცნობილმა ეკონომისტმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა, ამარტია სენმა გამოაქვეყნა, „100 მილიონი დაკარგული ქალის“ სახელით ცნობილი, კვლევის შედეგები, რომელიც აჩვენებს, რომ სელექციური აბორტების, ჩვილი გოგონების მკვლელობისა და ბავშვობაში გოგონების არაადეკვატურად კვების გამო, 100 მილიონზე მეტი შესაძლო ქალი გამოაკლდა არსებობას.¹⁹

რამდენიმე მონაცემი საქართველოს შესახებაც:²⁰

- საქართველოში, ქალების მხოლოდ 59%, ხოლო კაცების 77% ითვლება სამუშაო ძალის ნაწილად – ქალებისთვის ეს მაჩვენებელი 18%-ით ნაკლებია იმიტომ, რომ დიასახლისად კვალიფიცირებული ქალები არ განიხილებიან სამუშაო ძალად (ამ მაჩვენებლით, საქართველო 73-ეა 136 ქვეყანას შორის). სწორედ ამ განსხვავებით აიხსნება ის, რომ სტატისტიკური მონაცემებით, უმუშევრობის დონე უფრო მაღალია კაცებში (17%), ვიდრე ქალებში (13%).
- ერთიანი სამუშაოსთვის, ქალები, საშუალოდ, კაცების ანაზღაურების 76%-ს იღებენ (მე-14 ადგილი 136 ქვეყანას შორის).
- ქალის მიერ გამომუშავებული წლიური შემოსავალი კაცის შესაბამისი შემოსავლის 40%-ს შეადგენს (118-ე).
- გადაწყვეტილების მიმღებ და მმართველ პოზიციებზე (საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში, მმართველ პოზიციებზე) ქალები კაცების ნახევარს შეადგენენ (41-ე); ბიზნესკომპანიების მხოლოდ 20%-ის ხელმძღვანელია ქალი. პარლამენტარების 12%-ს (102-ე) და მინისტრების 16%-ს (63-ე) შეადგენენ ქალები.
- წერა-კითხვის ცოდნის დონე თანაბარია ქალებსა და კაცებს შორის. დაწყებითი და საშუალო განათლების საფეხურებზე თითქმის თანაბარია ქალების და კაცების მონაწილეობა, ხოლო უმაღლესი განათლების საფეხურზე, ქალები 1.2-ჯერ აღემატებიან მამაკაცებს – ქალების 33% და კაცების 27%-ით (უმაღლესი განათლების

18 UN Women Facts and Figures: <http://www.unwomen.org/en/what-we-do/leadership-and-political-participation/facts-and-figures>, retrieved at 15:35, May 12, 2014. ორივე მაჩვენებელი მკვეთრად - პირველი თითქმის ორჯერ, ხოლო მეორე თითქმის ოთხჯერ გაიზარდა ბოლო 15 წლის განმავლობაში.

19 Amartya Sen, „More Than 100 Million Women Are Missing“, The New York Review of Books 37, December 20, 1990.

20 საქართველოს შესახებ მონაცემები აღებულია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2014 წლის ანგარიშიდან: The Global Gender Gap Report 2013, World Economic Forum.

თვალსაზრისით პირველ ადგილზეა 136 ქვეყანას შორის, თუმცა ზოგადად განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობით – 89-ე ადგილზე).

- გოგონების და ბიჭების თანაფარდობა დაბადებისას, საქართველოში, ძალიან დამახინჯებულია და შეადგენს 0.91%-ს (130-ე 136 ქვეყნიდან – უსწრებს მხოლოდ ალბანეთს, სომხეთს, ჩინეთს, ინდოეთს, ვიეტნამსა და აზერბაიჯანს).

2. ბიოლოგია თუ საზოგადოებრივი ინსტიტუტები და პრაქტიკა?

რაზე მეტყველებს ეს რიცხვები? მთელ მსოფლიოში, ქალებს კაცებზე უარესი კვება, ჯანდაცვის რესურსები, განათლება, შემოსავალი აქვთ; ისინი უფრო ხშირად არიან (ნაცნობებისაგან) ძალადობის მსხვერპლნი; მათ უფრო იშვიათად უკავიათ გადანაცვტილების მიმღები, საპასუხისმგებლო და გავლენიანი პოზიციები; ისინი უფრო იშვიათად აღწევენ გამორჩეულ წარმატებას მეცნიერებასა და ხელოვნების სფეროებში. ამ ფაქტის ასახსნელად მხოლოდ ორი აშკარა შესაძლო მიმართულება ჩანს:

- (1) ან უნდა ჩაითვალოს, რომ ქალები კაცებზე ნაკლებად სრულფასოვანი არსებები არიან;
- (2) ან უნდა აღიარონ, რომ საზოგადოებათა უმრავლესობაში, ქალებს სისტემურად ავიწროებენ – საზოგადოებათა უმრავლესობაში ქალები იჩაგრებიან.

ანტიფემინისტების მხრიდან – შენიღბულად თუ აშკარად – ხშირია სწორედ პირველი ტიპის არგუმენტები. თუკი, ძველ დროში, სრულებით აშკარად ავითარებდნენ და იცავდნენ ქალის არასრულფასოვნების (ძირითადად, როგორც არასრულფასოვნად რაციონალური არსების) შესახებ თეორიებს (ამის თვალსაჩინო ნიმუშია ქალსა და მამაკაცს შორის განსხვავების არისტოტელესეული ხედვა), ახალ დროში უფრო პოპულარული გახდა თეორიები ქალისა და მამაკაცის ფუნდამენტურ განსხვავებულობაზე უნარების, მისწრაფებების, ტემპერამენტისა და ა. შ. მხრივ; ამით, ამ პერიოდის თეორეტიკოსები ამართლებდნენ ქალისა და მამაკაცისათვის საქმიანობის სხვადასხვა სფეროს დაწესებას (ქალისთვის – ოჯახი, სხვებზე ზრუნვა, ემოციურობა, მამაკაცზე დამოკიდებულება, მამაკაცისთვის – საჯარო, ეკონომიკურ და პოლიტიკური სფერო, რაციონალურობა, დამოუკიდებლობა). ამ თეორიებში გაბუნდოვანებულია ის, რომ ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებული სოციალური განსხვავებები ძალაუფლებრივ უთანასწორობას ემყარება; სანაცვლოდ, ეს განსხვავებები წარმოდგენილია, როგორც როლებისა და ფუნქციების ურთიერთშემავსებელი, სიმეტრიული, ორმხრივი განაწილება. სოციალური განსხვავებების ნაგულისხმევი, ბუნებრივი – როგორც წესი, ბიოლოგიური – განსხვავებებით ახსნისა და გამართლების ცდები ისევ ხშირად ისმის თანამედროვე დისკუსიებშიც.

ზოგადად, თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც, ადამიანებს შორის სოციალური განსხვავებები მათ შორის ბიოლოგიური განსხვავებებითაა გამოწვეული (დეტერმინირებული), **ბიოლოგიური დეტერმინიზმი** ეწოდება. საყურადღებოა, რომ როცა ბიოლოგიურ დეტერ-

მინიზმს, როგორც განსხვავებების [ვითომდა] **ახსნას**, მათი გამართლების საფუძვლად იყენებენ, ფარულად (ზოგჯერ კი აშკარადაც) კიდევ ორ წანამძღვარს ემყარებიან: რომ თუ სოციალური განსხვავებები ბუნებრივი (უნარებისა და მიდრეკილებების) განსხვავებებით არის გამოწვეული, მაშინ ისინი (1) არც უსამართლობას წარმოადგენს და (2) არც შეცვლას ექვემდებარება. ამ წანამძღვრების კრიტიკა ამით არ შემოიფარგლება, თუმცა მათი სიცრუის მხილება უაღრესად მნიშვნელოვანია. ვინაიდან დასმული კითხვა მაინც ზემოთ მოყვანილი ფაქტების **ახსნას**, მათ გამომწვევ მიზეზებს ეხებოდა, ბიოლოგიური დეტერმინიზმის, როგორც ქალებისა და მამაკაცებს შორის სოციალური განსხვავებების ამხსნელი თეორიის, სისუსტეზე შენიშვნებით შემოვიფარგლოთ.

ერთი მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ ათწლეულების განმავლობაში, ამ მიმართულებით მკვლევართა უდიდესი ძალისხმევა და უამრავი ფინანსური რესურსი დაიხარჯა, მეცნიერებამ ვერ მიაგნო ქალებსა და კაცებს შორის ვერავითარ კონკრეტულ ბიოლოგიურ (განსაკუთრებით ცდილობდნენ ტვინებში განსხვავების მოძებნას) ან თანშობილ ფსიქოლოგიურ (მათ შორის, ინტელექტუალურ) განსხვავებას, რომლის მეშვეობითაც, ოდნავ მაინც დამაჯერებლად აიხსნებოდა ქალებისა და კაცებს შორის არსებული განსხვავებები საზოგადოებაში. ბიოლოგიური დეტერმინიზმი დღემდე რჩება ჰიპოთეზად, რომელსაც არც ერთი დამატებითი დადასტურება არ მოუპოვებია, იმ მონაცემთა მიღმა, რომელთა ასახსენლადაც გვთავაზობენ თვითონ მას. (მაგალითად, ხელმძღვანელ პოზიციებზე ან პოლიტიკაში მამაკაცების სიჭარბისა და ქალთა სიმცირის ასახსნელად დეტერმინისტი უშვებს რაღაც ბიოლოგიურად განპირობებულ განსხვავებას ქალებისა და მამაკაცებს შორის, მაგრამ ასეთი განსხვავების ჩვენების ნაცვლად, მისი არსებობის საბუთად ისევ იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ ხელმძღვანელ პოზიციებზე ან პოლიტიკაში ძალიან ცოტა ქალია; უკეთეს შემთხვევაში, მან შეიძლება მიუთითოს სხვა, პირველთან დაკავშირებულ განსხვავებაზე, მაგალითად, ქალებისა და კაცების მასობრივად სხვადასხვაგვარ განათლებაზე ან ამომრჩეველთა მეტ ნდობაზე კაცი პოლიტიკოსების მიმართ – განსხვავებებზე, რომლებიც თვითონაც არასგზით არ არის ბიოლოგიური და თვითონაც მოითხოვს ახსნას.) მეორე მხრივ, ზუსტად ამ მონაცემების ასახსნელად არსებობს ალტერნატიული ჰიპოთეზა, რომელიც ქალებისა და კაცების მდგომარეობას შორის ზემოთ მონიშნული განსხვავებების მიზეზებს საზოგადოებაში არსებული ინსტიტუტებისა და პრაქტიკის, აქ დამკვიდრებული ნორმების, წესებისა და სტერეოტიპების თავისებურებებში ხედავს. ამ ჰიპოთეზის ღირსებაა ის, რომ ის ცხადყოფს კონკრეტულ მექანიზმებს, რომლებითაც წარმოიქმნება ასახსნელი მოვლენები – ის არაბუნებრივი განსხვავებები ქალებისა და კაცების ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში, რომლებზეც არის საუბარი. ეს მეორე ჰიპოთეზა, როგორც ითქვა, ძალიან ზოგადი სახით ჩამოყალიბდება, როგორც მტკიცება, რომ საზოგადოებაში ქალებს სისტემურად ავიწროებენ – რომ ქალები იჩაგრებიან.

3. რა არის და რა არ არის ჩაბჰრა?

როგორც ითქვა, ჩაგვრის არსებობის აღიარებას დიდი წინააღმდეგობა ხვდება. მეტიც, მისი უარყოფა ხშირად ისმის თვითონ ჩაგრულების მხრიდანაც. ამ არ- ან ვერაღიარების მთავარი მიზეზი, ალბათ, მაინც იმ იდეოლოგიურ მექანიზმებშია მოსაძებნი (და დიდი ძეხნაც არ სჭირდება), რომლებიც ნიღბავს უსამართლობას და არსებულ მდგომარეობას წარმოადგენს, რო-

გორც სამართლიანს, ან, სულ მცირე, როგორც „ბუნებრივს“. უარყოფის ამ სტრატეგიის დასაძლევად უაღრესად მნიშვნელოვანია, გვეჩვენეს ჩაგვრის ზუსტი და მკაფიო კატეგორია.

ჩაგვრა არ არის ნებისმიერი სახის უსიამოვნება, შევიწროება ან ტანჯვა – ასე გაგება იქნებოდა ჩაგვრის ცნების ზედმეტად გაფართოება; როგორც ფემინისტი თეორეტიკოსი, მერილინ ფრაი ამბობს, „ადამიანები შეიძლება საცოდავები იყვნენ ისეც, რომ არ იჩაგრებოდნენ“.²¹ ჩაგვრა ასევე არ ნიშნავს მხოლოდ უკანონო ან ტირანულ მმართველობას, ანუ არ არის ვიწრო აზრით პოლიტიკური ცნება – ამ ცნების ასე გაგება მეტისმეტად დავინშროება იქნება. იგივე იქნება ჩაგვრის გაიგივება დისკრიმინაციასთან: მართალია, დისკრიმინაცია ხშირად არის ჩაგვრის ინსტრუმენტი და ჩაგვრის სისტემის ნაწილი, მაგრამ ის ინდივიდუალისტური ცნებაა – გულისხმობს კონკრეტულ ინდივიდს ობიექტად, კონკრეტულ ინდივიდს ან ინსტიტუტს სუბიექტად და ცნობიერად ჩადენილ ქმედებას; გარდა ამისა, დისკრიმინაციაზე, სამართლებრივი აზრით მაინც, შეიძლება ლაპარაკი იმ შემთხვევებშიც, სადაც ჩაგვრაზე ლაპარაკი უადგილოა. და ბოლოს, ჩაგვრა არ დაიყვანება მის შედეგებსა თუ სიმპტომებზე: მაგალითად, როდესაც საუბარია ქალების უფრო დაბალ შემოსავალზე, ჰომოსექსუალი ადამიანების ფსიქოლოგიურ თუ სოციალურ პრობლემებზე, ან ამერიკაში შავკანიანი ადამიანების განათლების შედარებით დაბალ დონეზე, გულისხმება, რომ ეს ფაქტები არის ჩაგვრის სისტემის შედეგები, მისი ეფექტები, და არა ის, რომ თვითონ ამ ფაქტებში მდგომარეობს ჩაგვრა. ამ განსხვავების გაცნობიერება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ანალიტიკურ, არამედ პოლიტიკურ დონეზეც – ჩაგვრის სისტემასთან ბრძოლა ვერ დაიყვანება მისი ასეთი კონკრეტული შედეგების განეიტრალებაზე. მეორე მხრივ, ამის თქმა არ ნიშნავს, რომ ეს შედეგები თუ ეფექტები თვითონ არ მონაწილეობს ჩაგვრის სისტემების შენარჩუნებაში.

ჩაგვრა არის სისტემური და სტრუქტურული საზოგადოებრივი ფენომენი, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, არ დაიყვანება მის ინდივიდუალურ გამოვლინებებსა და ფორმებზე.

ჩაგვრის სტრუქტურულობა მისი ყველაზე ცენტრალური ასპექტია და გულისხმობს, რომ ჩაგვრაზე ლაპარაკი აზრიანია მხოლოდ სოციალურ ჯგუფთან მიმართებაში. ინდივიდი ჩაგვრას განიცდის (ან ახორციელებს), მხოლოდ როგორც ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის წევრი, და არა როგორც კონკრეტული ადამიანი. ასეთი სოციალური ჯგუფი შეიძლება მარკირებული იყოს სქესის, კანის ფერის, სექსუალობის, რელიგიის, ეთნიკური იდენტობის, კლასის, ასაკის, წონის, ფიზიკური ან გონებრივი შესაძლებლობის და ა. შ. ნიშნით. ამდენად, ჩაგვრის სისტემა უშუალოდ არის დამოკიდებული ამათუიმ საზოგადოების ჯგუფობრივ სტრუქტურაზე, რომელიც იმავდროულად ძალაუფლების ურთიერთობების იერარქიის სტრუქტურაა. მნიშვნელოვანია, რომ ბევრ შემთხვევაში, ჩაგვრის სისტემისა და პრაქტიკის შენარჩუნებას ხელს უწყობს ის, რომ ჩაგრული ჯგუფის წევრები ვერ აცნობიერებენ საკუთარი მდგომარეობის კავშირს ამათუიმ ჯგუფის მიმართ თავიანთ წევრობასთან და ის ინდივიდუალურ, კერძო პრობლემად წარმოუდგენიათ. მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში,

21 Marilyn Frye, „Oppression“, in Marilyn Frye, *Politics and Reality: Essays in Feminist Theory*, Freedom, California: Crossing Press, 1983, pp. 1-16. ციტირებულია გამოცემიდან: *Feminist Theory, A philosophical Anthology*, ed. Ann E. Cudd and Robin O. Andreasen, Blackwell Publishing, 2004, pp. 84-90.

ისინი ვერ აცნობიერებენ შესაბამისი ჯგუფის, როგორც საზოგადოების სტრუქტურული ელემენტის არსებობასაც და, ამდენად, ვერც თავიანთ თავს – როგორც ამ ჯგუფის წევრს. ამ „ვერგაცნობიერების“ მრავალი მიზეზი არსებობს, რომელთაგანაც ზოგიერთი ისევ პეგემონური დისკურსისა და იდეოლოგიის მუშაობას შეიძლება დავეუკავშიროთ.

ჩაგვრის სისტემურობაში კი იგულისხმება, რომ ის ჯგუფის მდგომარეობის კომპლექსური მახასიათებელია და არ დაიყვანება რომელიმე ერთ ან რამდენიმე შეზღუდვაზე. სხვა სიტყვებით, ჩაგვრა ხორციელდება სხვადასხვა სახის შეზღუდვებისა და შევიწროებების ერთიანი სისტემის სახით.

მაგალითად, განვიხილოთ ქალის მდგომარეობა, რომელიც მოძალადე მეუღლესთან ოჯახურ თანაცხოვრებას არ წყვეტს. თუ მისი ცხოვრების მხოლოდ ამ ასპექტს შევხედავთ, იოლად შეიძლება მისი პრობლემა პიროვნულ, კერძო საკითხად მოგვეჩვენოს – ხომ შეუძლია განქორწინება მოითხოვოს? შეუძლია სამართალდამცავ ორგანოებს, ან შესაბამისი სერვისის მიმწოდებლებს (თავშესაფრებს და ა.შ.), ან, თუნდაც, სოციალურ ქსელებს (ნათესაებს, მეგობრებს) მიმართოს დახმარებისთვის? მაგრამ თუ ყურადღებას მივაქცევთ მისი მდგომარეობის სხვა ასპექტებს – ფინანსურ დამოკიდებულებას მეუღლეზე, სოციალურ სტიგმას, რომელიც ოჯახური პრობლემების გახმაურებას მოჰყვება და ა. შ., ცხადი გახდება, რომ ეს „გამოსავლები“, სინამდვილეში, ქალისთვის თითქმის მიუწვდომელია. ამრიგად, ოჯახში ფიზიკური ძალადობა ჩაგვრის სისტემის ნაწილი და სიმპტომია იმდენად, რამდენადაც ის მოქმედებს ამავე სისტემის სხვა კომპონენტებთან (ფინანსური დამოკიდებულება, კულტურის ნორმები, საჯარო რესურსების გამოყენების უნარის არქონა...) ერთობლივად.

ჩაგვრის ამ ასპექტის ნათელსაყოფად ძალიან კარგი მეტაფორა ეკუთვნის მერილინ ფრაის: სანამ მხოლოდ გალიის შემადგენელ ცალკეულ გისოსს ვხედავთ, ვერ გავიგებთ, როგორ შეიძლება ის ჩიტს მოძრაობას უზღუდავდეს – ხომ შეუძლია მას თითოეულ ასეთ გისოსს, ცალკე აღებულს, გვერდი აუაროს და თავისი გზა გააგრძელოს? მხოლოდ მათი ერთობლიობაში, როგორც ერთიანი სისტემის – გალიის – ნაწილების განხილვისას ხდება გასაგები, როგორ შეიძლება ისინი ჩიტის თავისუფლებას ძალიან რადიკალურადაც კი ზღუდავდეს.

ჩაგვრის ძნელი დასანახაობა უშუალო კავშირშია მის სტრუქტურულობასა და სისტემურობასთან – ჩაგვრის, როგორც ჩაგვრის (და არა როგორც უბრალოდ პიროვნული, ინდივიდუალური, კერძო პრობლემის) დანახვა საზოგადოებაზე მაკროსკოპულ პერსპექტივას მოითხოვს. ამის გასაგებად ისევ გალიის მეტაფორა გამოდგება. ამის გარდა, როგორც უკვე ითქვა, ჩაგვრის სისტემის თანამონაწილე დისკურსები და იდეოლოგიური კონსტრუქციები ეფექტურად უზრუნველყოფს, რომ არ მოხდეს ან გაძნელდეს ჩაგვრის, როგორც ჩაგვრის გაცნობიერება.

ჩაგვრის ასიმეტრიულობაში იგულისხმება ის, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ჩაგვრის სისტემაზე ლაპარაკი ყველა შემთხვევაში არ ნიშნავს ჩაგვრის განმახორციელებელი ცნობიერი აგენტების არსებობას, ის აუცილებლად ნიშნავს იმას, რომ ერთი ჯგუფის ჩაგვრის ხარჯზე სხვა ჯგუფი იღებს სარგებელს. მაგალითად, როდესაც ამტკიცებენ,

რომ ქალები ან შავკანიანები ამათუიშ საზოგადოებაში მამაკაცების ან თეთრკანიანების მიერ იჩაგრებიან, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ საზოგადოებაში თითოეული მამაკაცი ან თეთრკანიანი ადამიანი ცნობიერად და მიზანდასახულად ახორციელებს ჩაგვრის ამათუიშ ფორმას; მაგრამ ეს, როგორც წესი, ნიშნავს იმას, რომ თითოეული მამაკაცი ან თეთრკანიანი ადამიანი ამ საზოგადოებაში იღებს სარგებელს და სარგებლობს პრივილეგიებით მხოლოდ იმის ძალით, რომ მამაკაცი ან თეთრკანიანია – სარგებელს და პრივილეგიებს, რომელთაც ვერ მიიღებდა, შესაბამისი მეორე ჯგუფი რომ არ იჩაგრებოდეს.

4. ჩაგვრის ძირითადი ფორმები

რაც შეეხება ჩაგვრის ასპექტებს ან ფორმებს – თუ რა ფორმას შეიძლება იღებდეს ამა თუ იმ ჯგუფის ჩაგვრა. აქ ხუთ ასეთ ასპექტს თუ ფორმას გამოყოფენ: ექსპლუატაცია, მარგინალიზაცია, უძლურება, კულტურული ჩაგვრა, ძალადობა.²²

ექსპლუატაცია გულისხმობს, რომ ერთი სოციალური ჯგუფის ენერგია სისტემურად იხარჯება მეორე ჯგუფის ძალის, სტატუსისა და სიმდიდრის – მოკლედ, ძალაუფლების – შესანარჩუნებლად და გასაზრდელად. სხვა სიტყვებით, ექსპლუატაცია არსებობს იქ, სადაც ერთი ჯგუფის შრომა და ძალისხმევა მეორის სასარგებლოდ იხარჯება – სასარგებლოდ იმ აზრით, რომ ინარჩუნებს და ამყარებს ამ ჯგუფებს შორის უკვე არსებულ ძალაუფლებრივ იერარქიას; იმ ძალაუფლებრივ იერარქიას, რომელიც თვითონ ხდის შესაძლებელს შრომისა და ძალისხმევის ასეთ ცალმხრივ გადაცემას. ისტორიულად, ექსპლუატაციის ცნება კლასობრივი ჩაგვრის დასახასიათებლად დამუშავდა; თუმცა უკვე აღიარებულია, რომ ის არანაკლებ რელევანტურია ჩაგვრის რასისტული თუ სექსისტური სახეების ანალიზისთვის.

მარგინალიზაცია, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს შრომის ბაზრიდან განდევნას. თანამედროვე საზოგადოებებში ჩაგვრის დიდი ნილი სწორედ ამ ფორმას იღებს, ექსპლუატაციის ნაცვლად, და მას განიცდის ბევრი სხვადასხვა ჯგუფი: რასის, ასაკის, უნარის მიხედვით მარკირებული ადამიანები, მარტოხელა დედები, შუახნის ასაკში სამსახურიდან გათავისუფლებული ადამიანები და სხვა. ამ ტიპის ჩაგვრა, სხვებისგან განსხვავებით, სასტიკი მატერიალური დეპრივაციის წინაპირობაც არის. გარდა მატერიალური დეპრივაციისა, მისი შედეგია პიროვნული ავტონომიის სასტიკი შეზღუდვა (სხვაზე, სოციალურ სამსახურებზე დამოკიდებულების გამო) და დაბალი თვითშეფასების ჩამოყალიბება. მოკლედ, მარგინალიზაცია შეუძლებელს ხდის ადამიანის ღირსების შესაფერის არსებობას.

უძლურება ან უძალბა შეიძლება ვუნოდოთ ჩაგვრის იმ ფორმებს, რომელთაც ადამიანი მისი სოციალური სტატუსის გამო ექვემდებარება. უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება სტატუსის განსხვავება პროფესიონალ და არაპროფესიონალ, „კომპეტენტურ“

²² ვეყრდნობი ირის იანგის კლასიფიკაციას: Iris Marion Young, „Five Faces of Oppression“, *Philosophical Forum* 19 (4), 1998, pp. 270-90. ციტირებულია გამოცემიდან: *Feminist Theory, A philosophical Anthology*, ed. Ann E. Cudd and Robin O. Andreasen, Blackwell Publishing, 2004, pp. 91-104.

და „არაკომპეტენტურ“ ჯგუფებს შორის. შეიძლება პროფესიონალი განიცდიდეს ექსპლუატაციას, მაგრამ, განსხვავებით არაპროფესიონალისგან, მას აქვს თავისი უნარების განვითარების საშუალება, აქვს გარკვეული ავტონომია თავის საქმიანობაში, აქვს გარკვეული რესპექტაბელობა. და თუ მართალია, რომ საზოგადოებაში (სქესის, რასის ან ოჯახური წარმომავლობით განსაზღვრული) რომელიმე ჯგუფი არაპროფესიონალის სტატუსისთვისაა განწირული, ეს ჯგუფი ჩაგვრის ამ ფორმას განიცდის. ჩაგვრის ამ ასპექტის გაცნობიერება არსებითია, რათა გაანალიზდეს, თუ რატომ მიიჩნევენ ფემინისტები ქალების დიასახლისის როლზე მიჯაჭვას, ქალების ჩაგვრად.

ძალადობა, როგორც ჩაგვრის სახე, გულისხმობს, რომ ადამიანები განიცდიან სისტემურ და ლეგიტიმიზებულ ძალადობას მხოლოდ იმიტომ, რომ ამათუიშ ჯგუფს მიეკუთვნებიან. მხოლოდ ამ ჯგუფის წევრობის გამო, მათ მუდმივად აქვთ საფრთხე თვითნებური, არაპროვოცირებული თავდასხმისა, რომლის ერთადერთი მოტივი მათი დაზარალება, დამცირება ან განადგურებაა. ასეთ ძალადობას შეიძლება სიტყვიერი შეურაცხყოფის ან ერთი შეხედვით უწყინარი სექსუალური შინაარსის მქონე კომენტარის ფორმა ჰქონდეს, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კი, მისი მიზანი ადამიანის დამცირებაა, ხოლო თვითონ ფიზიკური თავდასხმის საფრთხის სიგნალია. ქალები, ჰომოსექსუალი მამაკაცები და ლესბოსელები, შავკანიანი, აზიელი ან ებრაელი ადამიანები ასეთი ძალადობის მუდმივი საფრთხის ქვეშ ცხოვრობენ ბევრ საზოგადოებაში. ეს ძალადობა სისტემურია იმ აზრით, რომ მიმართულია ჯგუფის ნებისმიერ წევრზე მხოლოდ იმიტომ, რომ ის ამ ჯგუფის წევრია. ის ლეგიტიმურია იმ აზრით, რომ ის არ არის მოულოდნელი, არ იწვევს აღშფოთებას და რჩება დაუსჯელი. (მაგალითისთვის, გაიხსენეთ საზოგადოების რეაქციები გაუპატიურების შემთხვევებზე: ხშირად სვამენ კითხვას იმის შესახებ, თუ რა ეცვა მსხვერპლს, რას აკეთებდა ის ქუჩაში ამ დროს და ა. შ. ასეთი კითხვები ფაქტობრივად მსხვერპლის დადანაშაულებას, მოძალადის გამართლებას და თვითონ ძალადობის აქტის ლეგიტიმაციას ემსახურება). ცალკე საკითხია, ოდესმე აიხნება თუ არა ასეთი ძალადობა მხოლოდ ქსენოფობიით, თუ მას ყოველთვის აქვს რეპრესიული ძალადობის ფუნქცია – ანუ, სრულიად ირაციონალურია თუ აუცილებლად აქვს ის რაციონალური მოტივი, რომ ემსახურება ძალაუფლების შენარჩუნებას. მაგრამ უდავოდ ძალიან დამაჯერებელია, რომ ძალადობის აქტები ხშირად სწორედ ძალაუფლების იერარქიის შენარჩუნებას და განმტკიცებას ემსახურება – ისინი ხშირად გამოიყენება დადგენილი ნორმებისა და შეზღუდვების დარღვევის, ტრანსგრესიის გამო სასჯელად (ე. წ. „თამამი“ საქციელის ქალის ან ლესბოსელის გაუპატიურება „დასჯის“ ან „გამოსწორების“ მიზნით, ამის კარგი მაგალითია).

კულტურული ჩაგვრა შეგვიძლია განვიმარტოს, როგორც ცხოვრებას საზოგადოებაში, რომლის „დომინანტური მნიშვნელობებიც უხილავს ხდის შენი ჯგუფის სპეციფიკურ პერსპექტივას და თვალსაზრისს, სტერეოტიპებით წარმოადგენს და მონიშნავს შენს ჯგუფს, როგორც სხვას“.²³ სხვა სიტყვებით, ეს არის დომინანტური ჯგუფის – რომელიც ინტერპრეტაციისა და კომუნიკაციის საშუალებებს ექსკლუზიურად ფლობს – გამოცდილებისა და კულტურის უნივერსალიზაცია და ნორმად დადგენა; ეს კი ასევე გულისხმობს, რომ დომინანტურია ამ ჯგუფის მიერ საზოგადოების სხვა ჯგუფების ხედვა და ინტერპრეტაცია (თუკი მათი არსებობა საერთოდ არის აღიარებული). ამ ხედვასა და ინტერპრეტაციაში კი ჩაგრული

23 იქვე, გვ. 100.

ჯგუფები წარმოდგენილია, როგორც დევიანტური და არასრულფასოვანი, ნორმიდან გადახრილი, მარკირებულია, როგორც სხვა. პრივილეგირებული, „ნორმალური“ ჯგუფი მასში არაგანსაზღვრადია – მისი წევრები უბრალოდ ინდივიდები არიან, მათთვის არ არის არსებითი ჯგუფის წევრობა, ხოლო ჩაგრული ჯგუფის წევრი დაინახება არა იმის მიხედვით, თუ რას აკეთებს როგორც ინდივიდი, არამედ როგორც არსებითად განსაზღვრული მისი „სხვანაირობით“ (ქალის ნათქვამი სისულელე აიხსნება ქალობით, მამაკაცისა – ინდივიდის ნაკლით; შავკანიანის მიერ ჩადენილ დანაშაულში მთავარია შავკანიანობა, ხოლო თეთრკანიანის შემთხვევაში – ინდივიდუალური ბიოგრაფია და მოტივები; ჰომოსექსუალი ადამიანი მხოლოდ ჰომოსექსუალია და მეტი არაფერი – მისი ყველა სხვა თვისება გადაფარულია ამ ერთით). რაც უფრო მნიშვნელოვანია, დომინანტური კულტურა, ჰეგემონიის გამო, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჩაგრული ჯგუფების წევრების მიერ თავიანთი თავის აღქმასა და ინტერპრეტაციასაც. დომინანტური კულტურის სტერეოტიპები ინტერნალიზებულია მათ მიერ, მაგრამ, მეორე მხრივ, ჩაგრული ჯგუფები საკუთარ კულტურულ პროდუქციასაც ქმნიან მათი სპეციფიკური გამოცდილების საფუძველზე და თავიანთ თავს ამ პროდუქციის ტერმინებითაც იაზრებენ. ამრიგად, მათი ცნობიერება განსაზღვრულია ორი – დომინანტური და მათი საკუთარი „დევიანტური“ – კულტურით, რომლებიც ერთმანეთთან თავსებადი არ არის. ჩაგრული ჯგუფები, ამდენად, ორმაგი ცნობიერების მატარებლები არიან.

აღბათ შეიძლება, ჩაგვრის სხვა ფორმების თუ ასპექტების იდენტიფიცირებაც, მაგრამ ეს ხუთი უდავოდ მოიცავს ჩაგვრის არსებით ასპექტებს. აღსანიშნავია, რომ ეს ფორმები ურთიერთგამომრიცხავი არ არის: მოცემული ჯგუფის შემთხვევაში, როგორც წესი, ჩაგვრის ერთზე მეტი ფორმის იდენტიფიცირება შეიძლება.

5. ქალების ჩაგვრა: სექსიზმი

ჩაგვრის ამ ანალიზის მიღების შემთხვევაში, გამოჩნდება, რომ ქალების მდგომარეობა ჩვენს და მრავალ სხვა საზოგადოებაში, ზუსტად აღინერება, როგორც ჩაგვრა. მეტიც, ცხადი გახდება, რომ ქალები განიცდიან ჩაგვრის ზემოხსენებულ, ხუთივე ფორმას. ქალები ასრულებენ საოჯახო და ემოციურ სამუშაოს, რომელიც არ ზრდის მათ ძალას და სტატუსს საზოგადოებაში; პირიქით, ზრდის მამაკაცების ძალას და სტატუსს და, ამდენად, განსხვავებას ქალებსა და მამაკაცებს შორის – ეს მათი ექსპლუატაციაა. ბევრ საზოგადოებაში ქალები განდევნილები არიან ფორმალური შრომის ბაზრიდან, რის გამოც ისინი დამოკიდებულნი არიან სხვებზე – ეს არის მათი მარგინალიზაცია. ბევრ საზოგადოებაში ქალების განათლებას და განვითარებას აბრკოლებს პირდაპირი აკრძალვები და ტაბუები, ხოლო კიდევ უფრო მეტში – პრიორიტეტები, რომლებიც რესურსების განაწილებას განსაზღვრავს; ქალებისთვის დახურულია პროფესიები და პოზიციები, რომლებიც უნარების განვითარებას მოითხოვს და პრესტიჟულია – ეს განსაზღვრავს ქალების უძალობას. ქალები, როგორც ქალები, მუდმივად არიან ფიზიკური და სექსუალური ძალადობის საფრთხის ქვეშ და, როგორც ჯგუფი, განიცდიან სისტემურ და ლეგიტიმიზებულ ძალადობას. და ბოლოს, ქალები სტერეოტიპირებულები არიან დომინანტურ კულტურულ პროდუქციაში, წარმოდგენილები არიან, როგორც სხვა (ქალთა ჩაგვრის ამ ასპექტის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი და

უკვე კლასიკური განხილვა მოცემულია სიმონ დე ბოვუარის „მეორე სქესში“ (1949)); ისინი არ (ან შეზღუდულად) მონაწილეობენ კულტურული პროდუქციის შექმნაში; და თავიანთი თავის გასა-აზრებლად, მათ ხელი მიუწვდებოდა მხოლოდ იმ რესურსებზე, რომლებიც თითქმის ექსკლუზიურად დომინანტური ჯგუფის კულტურული პროდუქციის ნაწილია – ესაა ქალების კულტურული ჩაგვრა. მეტიც, მნიშვნელოვანი თვალსაზრისით, ქალები ბევრ სხვა ჩაგრულ ჯგუფზე მეტად განიცდიდნენ ამ ტიპის ჩაგვრას, რადგან მათი განსხვავების სპეციფიკა განსაკუთრებით ძნელს და ძნელად წარმოსადგენს ხდის ქალური კულტურის, თუნდაც როგორც კონტრკულტურის ან მარ-გინალიზებული კულტურის არსებობას.

საზოგადოების იმ მრავალმხრივი და რთული ასპექტის აღსანიშნად, რომელიც უზრუნველ-ყოფს ქალების ჩაგვრას, მე-20 საუკუნის 70-იან წლებში, შეიქმნა სიტყვა „სექსიზმი“. ეს სიტყვა „რასიზმზე“ მოდელირებული და ძალიან ზოგადად განისაზღვრება, როგორც და-მოკიდებულებების, პრაქტიკებისა და სოციალური ინსტიტუტების თავისებურება, რომე-ლიც გულისხმობს ერთ-ერთი სქესის უპირატესობის რწმენას, სქესის ნიშნით ადამიანების დისკრიმინაციას და ჩაგვრას. განსაზღვრების ამ ნეიტრალურობის მიუხედავად, რეალურ კონტექსტებში, სექსიზმი ყოველთვის გულისხმობს მამაკაცების უპირატესობას ქალებზე და არასოდეს – ქალების უპირატესობას მამაკაცზე.

ამრიგად, დასაწყისში დასმულ კითხვაზე – როგორ უნდა აიხსნას ქალების უფრო დაბა-ლი ხელფასები, ნაკლები მონაწილეობა პოლიტიკურ და ეკონომიკურ გადაწყვეტილებებ-ში, თვითრეალიზაციის ნაკლები შესაძლებლობები და ა. შ. – პასუხი შემდეგი უნდა იყოს: მსოფლიოს საზოგადოებათა უმრავლესობაში, ჩვენი საზოგადოების ჩათვლით, ჯერ კიდევ ძალიან ძლიერია სექსისტური ჩაგვრა; სექსისტურია საზოგადოების ინსტიტუტებისა და პრაქტიკების, გავრცელებული სტერეოტიპებისა და დამოკიდებულებების ბევრი ასპექტი.

6. ფემინიზმი და მისი აუცილებლობა

ზემოთქმულის შესაჯამებლად, ფემინიზმის განმარტებას შემოგთავაზებთ. ფემინიზმი ნიშნავს ამ სამი თეზისის აღიარებას: რომ არსებულ სოციალურ წყობაში ქალებს, როგორც ქალებს, შეზღუდული აქვთ გარკვეული შესაძლებლობები მამაკაცებთან შედარებით (ანუ, ქალები ჩაგ-რულ ჯგუფს შეადგენენ); რომ მამაკაცების უპირატესობა განპირობებულია სოციალურად – ის ვერ აიხსნება რაიმე სახის ბუნებრივი ან ზებუნებრივი ვითარებებით, ბიოლოგიური ან თე-ოლოგიური მოსზრებებით; მესამეც, რომ შესაძლებელია და საჭიროა სოციალური სისტემის ისე შეცვლა, რომ მასში შემცირდეს სქესთა შორის უთანასწორობა და ის უფრო სამართლიანი გახდეს. ცხადია, ეს განსაზღვრება დიდი განსხვავებების შესაძლებლობას უშვებს ფემინიზმის საზღვრებში – ჩაგვრის კონკრეტული ფორმების, უთანასწორობის წარმოშობის მიზეზების, სოციალური გარდაქმნის ადეკვატური სტრატეგიების და ტაქტიკების შესახებ. მაგრამ ამ კონ-კრეტულ საკითხებზე რადიკალურად ურთიერთდაპირისპირებული პოზიციებიც კი ფემინიზ-მად ჩაითვლება, თუკი ისინი შეიცავს დასახელებული სამი თეზისის თუ პრინციპის აღიარებას – ანუ აღიარებას იმისა, რომ ქალებისა და კაცების თანასწორობა ჯერ მიღწეული არ არის, რომ ეს უსამართლობა და რომ ეს უნდა შეიცვალოს.

ქალების სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა

ლელა გაფრინდაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თანამედროვე საქართველოში მიმდინარე, სამოქალაქო და პოლიტიკურ პროცესებში ქალთა მონაწილეობის აუცილებლობის გასაცნობიერებლად, უმნიშვნელოვანესია პასუხი კითხვაზე: რა ისტორია აქვს ქალთა განმათავისუფლებელ მოძრაობას დასავლეთში და რა კავშირი აქვს მას საკუთრივ ქართულ სინამდვილესთან?

სწორედ ამ ამოცანის შესასრულებლად, ჩვენ აუცილებლად უნდა გადავხედოთ ქალთა უფლებების დასავლურ გამოცდილებას და დავინახოთ ქართველი ქალების „უჩინარი“ წვლილი, რომელიც მათ ჩვენს დღევანდელ თავისუფლებაში შეიტანეს.

1. განმანათლებლობა და განათლების უფლება

ქალების განათლების პრობლემატიზაციას მძლავრი ბიძგი მისცა თავისუფლებისა და ადამიანის გონების არსის შესახებ დანყებულმა ფილოსოფიურმა დებატმა, რომლის შედეგადაც, გონებამ ღმერთი ჩაანაცვლა. 1776 წლის „ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია“ და 1789 წლის „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“ განასახიერებენ განმანათლებლობის ეპოქის ოპტიმიზმს, რომ ყველა ადამიანი გონიერია და რომ იგი, თავისი ცხოვრებით, სწორედ გონების განვითარებისკენ უნდა ისწრაფვოდეს.

მერი უოლსტონკრაფტი (1759 – 1797) დაუპირისპირდა ქალის ბუნების, აზროვნების, უნარებისა და დანიშნულების შესახებ არსებულ, მოძველებულ შეხედულებებს. ნაშრომში „ქალის უფლებების დაცვა“ (1792) ცენტრალური თემა აღზრდის სისტემაა, რომელმაც ჟან ჟაკ რუსოს მიხედვით, ვაჟები სახელმწიფო მოღვაწეებად, მოქალაქეებად უნდა მოამზადოს, ხოლო გოგონები – დედაბა და ცოლებად. ავტორი საკუთარ პოზიციას შემდეგ არგუმენტებზე აფუძნებს: პირველი – ქალების ნაკლებადგანვითარებული აზროვნების უნარი მათი სქესის ბუნებრივი ნიშანი კი არ არის, არამედ მაღალი კლასის წარმომადგენელი ქალების პატივმოყვარეობის შედეგია. მათ ურჩევნიათ „დაატკბონ მამაკაცი“ საკუთარი სიკეკლეუცით, სინაზით, ნაცვლად იმისა, რომ აიღონ წიგნი და სრულყოფილი გონება. მეორე – გონიერება ქალებსა და მამაკაცებს ერთნაირად ახასიათებთ. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ქალებს მისი განვითარების ნაკლები საშუალება და უფლება აქვთ. მესამე – ადამიანის სათნოება/ზნეობა სქესით განპირობებული ვერ იქნება. დედის/ცოლის თავისთავადი სათნოება/ზნეობრიობა მამაკაცებმა მოიგონეს იმისთვის, რომ ქალები დაიმორჩილონ, უმანკოების საბურველით შემოსონ და ამითვე შეზღუდონ

მათი ასპარეზი. მეოთხე – ქალი, რომელმაც მხოლოდ მორჩილება იცის და არ არის თავის არჩევანში თავისუფალი, ვერ იქნება კარგი აღმზრდელი. მხოლოდ განათლებულ ქალს შეუძლია ღირსეული შთამომავლობის/კულტურის კვლავწარმოება.

მამაკაცების კეთილი ნების იმედად დარჩენილ ქალებს, კიდევ მრავალი წლის მანძილზე მოუწიათ თვალსაწიერისა და ასპარეზის გაფართოებისთვის ბრძოლა. მათ უნდა დაემტკიცებინათ, რომ ემოციები, ვნებები, ინტუიცია, წარმოსახვა, პირადი გამოცდილება თანაბრად მნიშვნელოვანია/სასარგებლოა ოჯახსა და საზოგადოებაში. ამის პარალელურად, ქალებს თავადვე უნდა შეეტანათ ეს კატეგორიები იქ, სადაც მათ ასე გაუბრუნდნენ.

ქალებისთვის განათლების უფლების მინიჭებამ, როგორც ლიბერალური ფემინიზმის მონაპოვარმა, ასევე გაუხსნა გზა თანასწორობის იდეის აქტუალიზაციას პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში, რაზეც XVIII-XIX საუკუნის მოაზროვნეთა მრავალი წელი დაიხარჯა.

ქალთა განათლების უფლების გზაზე, მნიშვნელოვანი მოღვაწეა ჯონ სტიუარტ მილი და მისი ნაშრომი „ქალის დაქვემდებარებულობა“.

მილი ამოდის კანონმდებლობის ანალიზიდან, სადაც სქესთა შორის უფლებრივი განსხვავებები სწორედ უთანასწორობის და სოციალური უსამართლობის გარანტიას. მისი აზრით, უნდა გაუქმდეს ქალის მონური მდგომარეობა ქორწინებაში, უნდა დამკვიდრდეს თანასწორი ხელმისაწვდომობა განათლებაზე, ანაზღაურებად შრომაზე, არჩევნებში მონაწილეობა-სა და პოლიტიკურ აქტიურობაზე.

მილის მეუღლის, ჰარიეტ ტეილორის აზრით, ქალის ეკონომიკური დამოუკიდებლობა არის მისი თავისუფლების ფუნდამენტი:

„გათხოვილი ქალს შემოსავალი უნდა ჰქონდეს მაშინაც კი, როცა ეს თანხა საერთო-საოჯახოს უმნიშვნელოდ ზრდის. ამ გზით, ქალი მოსამსახურის პოზიციიდან პარტნიორამდე მალღდება..“ (6).

2. საარჩევნო ხმის უფლება

ოლიმპია დე გუჟმა თავის თანამედროვე ქალებისთვის „ქალისა და მოქალაქე ქალის უფლებათა დეკლარაცია“ დაწერა. ნაშრომში გაანალიზებულია პოლიტიკური მონაწილეობის საკითხი, როგორც აუცილებლობა თავისუფლების, საკუთრების უფლების, უსაფრთხოების მოსაპოვებლად და ჩაგვრისადმი წინააღმდეგობის გაწევის საშუალება.

ხმის უფლების მოპოვებისა და თანასწორობისთვის მეტბრძოლთა შორის არიან სუფრაჟისტები (ინგლისური სიტყვიდან suffrage – ხმის უფლება): დედა – ემელინ პანკჰერსტი, რომელმაც 1903 წელს, ინგლისში „ქალთა სოციალური და პოლიტიკური კავშირი“ დააფუძნა და დები – სილვია, ადელ და კრისტაბელ პანკჰერსტები.

სუფრაჟისტებმა აქტუალური გახადეს თანაბარ შრომაში თანაბარი ანაზღაურების და საოჯახო შრომაში, ბავშვის აღზრდაში მშობლების თანასწორი მონაწილეობის საკითხები, რომელიც იმდროინდელ ევროპასა და ამერიკაში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა.

სუფრაჟისტული მოძრაობის ორივე მიმართულების დამსახურებაა, რომ ქალებმა ნელ-ნელა მოიპოვეს არჩევნებში მონაწილეობის, ხმის მიცემის უფლება. ეს გზა ქვეყნების მიხედვით ასე გამოიყურება:

- 1869 – აშშ, ვაიომინგის შტატი;
- 1870 – აშშ, იუტას შტატი;
- 1894 – ახალი ზელანდია;
- 1895-97 -ავსტრალია;
- 1906 – ფინეთი;
- 1913 – ნორვეგია, დანია, ისლანდია;
- 1917 – რუსეთი;
- 1918 – დიდი ბრიტანეთი;
- 1919 – გერმანია, ავსტრია, ჩეხეთი, პოლონეთი;
- 1920 – უნგრეთი;
- 1922 – ირლანდია;
- 1933 – ესპანეთი;
- 1944 – საფრანგეთი;
- 1946 – იტალია, იუგოსლავია;
- 1952 – საბერძნეთი;
- 1972 – შვეიცარია;
- 1984 – ლიხტენშტეინი;

3. ქართველი ქალები და ქალის უფლებები

„ქალთა საკითხი“ ერთ-ერთი იმ იდეათაგანია, რომელსაც გულმხურვალე „მასპინძლობა“ გაუწიეს ქართველმა ქალებმა და დაეჭვებულნი, მაგრამ არანაკლებად დაინტერესებულნი შეეგებნენ მამაკაცები. ამ თემის ისტორიული გზის აღსაწერად და დასახასიათებლად სამ მნიშვნელოვან ქალს გამოყოფენ: **ბარბარე ჯორჯაძეს, ეკატერინე გაბაშვილსა და კატო მიქელაძეს.**

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პერიოდული პრესა სავსეა ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძისადმი მიძღვნილი ლექსებითა და მის შემოქმედებაზე გამომხატურებებით.

ბარბარე ჯორჯაძე იყო ერთადერთი ქალი, რომელმაც გაბედა და 1861 წელს, ქართული ენის მოდერნიზაციასთან დაკავშირებულ პოლემიკაში, ილია ჭავჭავაძეს შეეკამათა: „უნივერსიტეტის დაცინებას მწამებთ.“

90-იან წლებში, „ქალთა საკითხის“ გარშემო გამართულ პოლემიკას ბარბარემ სპეციალური წერილი „ორიოდ სიტყვა ყმანვილ კაცების საყურადღებოდ“ მიუძღვნა:

„პირველიდანვე დაწყებული ყოველი კაცი დედაკაცების გაკილვაში ყოფილა და არის; ყოველივე ბრალეულობა ქალს მიაწერეს და დიდად ცდილობენ ეს თავის ამხანაგი ყოვლის გზით დაეცათ და დაემდაბლებინათ. სიყრმიდანვე ამას ჩასძახოდნენ „შენ, რადგანა შემოქმედს ქალად დაუბადებინარ, შენი წესი ეს უნდა იყოს. ხმაგაკმედილი ჩუმად იყო, არავის შეჰხედო, არსად ნახვიდე, ყურები დაიხშო, თვალები დახუჭე და იჯექ... სწავლა და სხვა ენებით განათლება რა შენი საქმეაო“. თითონ მამაკაცმა კი შეისხა ამპარტავნობის და ზვაობის ფრთები, დაიჭირა ვრცელი ასპარეზი და სთქვა: „მე რადგან კაცი ვარ, გავსწევ, გავქუსლავ ცის კიდემდე, ჩემი დამაბრკოლებელი არა არის-რა, ვიმჭევრმეტყველებ, ვისწავლი, ყოველგვარი თავისუფლება და ქვეყნის მფლობელობა ხელთ მიპყრიაო“. გაიფართოვა გზა და დედაკაცი ვითომ ვალდებულებაში ჩააგდო, თუ მე არა ლუკმას ვერ შესჭამო, – რა იყო უფრო დაემონებინა... მამაკაცმა ოჯახშიაც კი არად ჩააგდო დედაკაცის შრომა, უპირატესობა თვითონ დაიპყრო და ყურები გამოუჭედა: თქვენ ჭკუა არა გაქვთ, არა გაქვთ გული და გრძნობა, არც არა გესმით,... ხარტ დაუნდობელნი, მოლალატენი...

...ჩვენმა იესო ქრიტემ ბრძანა: არა არს გარჩევა არცა მამაკაცთა და არც დედაკაცთაო. მაგრამ რა წრესაც პირველად დაადგა კაცი, იმ წრის გადაცილება სჯულის გარდამავლობად მიაჩნდა.

საბრალო ქალებს იმ დაჩაგრვით მაინც ვერ დაუთრგუნეს ნიჭი და გონება: თუ განათლება არ მისცეს, თავიანთ დედანაზედ მაინც კარგად და საძირკვლიანად შეეძლოთ ნათელი მსჯელობა, და საქმიანობა, ვინ იყო მნიგნობრობის პატრონი და წერა-კითხვის გამავრცელებელი ჩვენში, თუ არა ქალი, როდესაც კაცები მამულის დამცველებად თოფ-იარაღზედ იყვნენ დაყუდებულნი?..

...ახლა მაინც ჩვენმა კაცებმა დაანებონ თავი ზვაობას და მეშურნეობას, მისცენ თავიანთ დებსაც თანასწორი სწავლა და მიმართულება, რომ შეეძლოთ კიდევ კვალში ჩადგომა და ანგარიშის მოთხოვნა თანამედროვე ქალებისა, თორემ ძველ დედაკაცებს სამარის მეტი ველარა გაგვასწორებს რა და ახალი თაობის ქალებიც ღვანლსა და შრომას არ შეუდრკებიან თუკი საქმეს არ უშველიან რასმე“ .

1895 წლის 11 აპრილს, როცა მწერალი ქალი ლენქორანიდან სამშობლოში ბრუნდებოდა, ციკგომბორთან შეუძლოდ გახდა და გარდაიცვალა.

ეკატერინე გაბაშვილი ის მოღვაწეა, რომელმაც შესაძლებელი გახადა ქალებისთვის განათლების მიღება მათივე შრომისა და სოლიდარობის საშუალებით.

ეკატერინე გაბაშვილის პოზიცია – იყოს საზოგადოებრივ ასპარეზზე, აქტიურად იმოქმედოს, აშკარად კონფლიქტშია იმდროინდელი ყოფის რეალიებთან. სწორედ ამიტომ მოუწოდებს ეკატერინე ქართველ საზოგადო მოღვაწე მამაკაცებს, რომ ქალებსაც მისცენ საზოგადოების გაჯანსაღებისათვის ბრძოლის და შრომის ასპარეზი:

„რა იდეალი გაქვთ თქვენ (მამაკაცებს), რომ ჩვენ არ თანავუგრძნობთ? რომელ რაზმს გავუძლევთ ან რომელს მივდიოთ? წადით თქვენ და თუ ვერ მოგყვით, მაშინ გვიკიჟინეთ! და თუ თქვენ თვითონ ტორტმანებთ, მასასადამე, ორთავეს ერთად, თქვენც და ჩვენც ჯერ ჩანჩალი, უფერულობა, ძილმორეულობა გვხვდა წილად და ერთმანეთს ნურას ვსაყვედურებთ...

...დღეს თქვენ სძრახავთ დედა-კაცს რომ იმას თვალეები შეძლებული საქმროს დასაჭერათა აქვს დაწყყეტილი. ეგ მართლაც საძრახისია და ზნეობით დაცემის ნიშანია, მაგრამ ის მხოლოდ მაგიერს გიხდით თქვენ! თქვენ, რომლებიც დედა-კაცის პატივს და ღირსებას მხოლოდ იმის მზითვის რაოდენობით ზომავთ“.

1882 წლიდან, ეკატერინე „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის წევრია, 1897-1922 წლებში კი ქალთა პროფესიული სკოლის ხელმძღვანელი.

ეკატერინე გაბაშვილი 1938 წლის 7 აგვისტოს გარდაიცვალა. დაკრძალულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

კატო მიქელაძე 1878 წლის 18 სექტემბერს დაიბადა სოფელ კულაშში.

1900 წელს, კატომ დაამთავრა საბებიო ინსტიტუტი.

1903 წელს, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ კატო მოსკოვში გააგზავნა პედაგოგიურ კურსებზე სასწავლებლად, საიდანაც მალე ევროპაში გამგზავრა.

ბრიუსელის სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, კატო პარიზში დასახლდა, სადაც 1915 წლამდე დარჩა და საფუძვლიანად გაეცნო ქალთა მოძრაობის ევროპულ გამოცდილებას.

1916 წელს, სამშობლოში დაბრუნებულმა კატო მიქელაძემ დაიწყო თანამოაზრეთა შემოკრება და ქალის სამოქალაქო-პოლიტიკური უფლებებისათვის ბრძოლა.

1917-18 წლებში, მან უკვე ჩამოაყალიბა რეგიონული ქსელი „ქალთა ლიგა“, რომელიც დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონის წარმომადგენელ ქალს აერთიანებდა. ამავე პერიოდში, იგი გამოსცემდა და რედაქტორობდა გაზეთს „ხმა ქართველი ქალისა“, სადაც კონსოლიდირებული იყო ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის საჭირო დასავლური გამოცდილება და ქართული პრობლემების მთელი პალიტრა.

„... არსებულ უსამართლობასთან საბრძოლველად საჭიროა ქალებისათვის არა მამაკაცების კუდში დევნა, არამედ თავიანთი ინდივიდუალურობის განვითარება, რომ პოულობდნენ სულიერ კმაყოფილებას თავიანთი პიროვნული სიმაღლით, რათა ორთავე სქესის აზროვნებისა და აქტიურობის განვითარებით შესაძლო იყოს იმ სიცარიელეს აღმოვსება, რომელიც ერთი სქესის გონებრივმა და სულიერმა მოქმედობამ წარმოშვა. და როდესაც ჩვენ უფლებებისათვის მეზრძოლი ქალები მოვითხოვთ ეროვნულსა და მოქალაქეობრივ ყოველ უფლებას და ვებრძვით ქალთა ადამიანური უფლების მტრებს, ჩვენ ვებრძვით არა ადამიანს მამაკაცის სახით, არამედ იმ ტრადიციულ უსამართლობას, რომელიც მამაკაცთა უმრავლესობას შეუთვისებია და რომელსაც მიყავს ერის ნახევარი ნაწილი გონებრივ და სულიერ

გამოფიტულობამდე. ჩვენ არ გვსურს ამ დუხჭირ მდგომარეობაში კვლავ დარჩენა და რაც არ უნდა მოხდეს, თავი უნდა განვითავისუფლოთ მისგან.

ჩვენ მოვითხოვთ სამართალს და არა შურისძიებას. ამ შემთხვევაში ჩვენ გვჭირია თითოეული პატიოსანი და სამართლიანი მამაკაცის გაგება და თანაგრძნობა და არა იმის ყიყინი, ვითომ სუფრაჟისტ ქალებს მამაკაცები გვძულდეს და მათგან გათიშვას მოვითხოვდით, როგორც ამას გაიძახიან ანტისუფრაჟისტების ამყოლი ბრბო. სუფრაჟისტ ქალებში არსებობენ მრავალი დედები, ცოლები, შვილები და დები მამაკაცებისა, რომელთა გულშიაც ბუდობს უკეთესი გრძნობა-სურვილები უკანასკნელთაგან, მაგრამ რომელთაც ამავე დროს არ ავინწყდებოდათ თავიანთი ადამიანური პიროვნებაც და მოითხოვენ მისთვის შესაფერ უფლებასაც.

ჩვენ ვიცით, რისთვის ვიბრძვით და ვიცით აგრეთვე ფასი და მისწრაფება ჩვენი უფლების მტერთა, რომ მათმა ცილის წამებამ შეგვაკრთოს, რასთვისაც დაჟინებით მოვითხოვთ ქალთა კავშირის სიძლიერესა და სიმტკიცეს ქალთა თვით მოქმედებისა და აქტიურობის აღსადგენათ.“

30-იან წლებში კატო მიქელაძე უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდა. იგი 1942 წელს გადაიცვალა.

სწორედ კატო მიქელაძის, მისი თანამოაზრე და წინამორბედი ქალების დამსახურება იყო საქართველოს დამფუძნებელ კრებაში 5 ქალი დეპუტატი: ქრისტინე შარაშიძე, მინადორა ტოროშელიძე, ლიზა ბოლქვაძე, ელენორა მახვილაძე, ანა სოლოლაშვილი.

საქართველოში საკანონმდებლო ორგანოში ქალთა წარმომადგენლობა:

წელი	ორგანო	აბსოლუტური რიცხვი	პროცენტი
1919	დამფუძნებელი კრება	5	3, 8 %
1990	უზენაესი საბჭო	18	7,2%
1992	პარლამენტი	14	6,3%
1995	პარლამენტი	16	6,4%
1999	პარლამენტი	17	7,2%
2004	პარლამენტი	22	9,4%
2008	პარლამენტი	9	6%
2012	პარლამენტი	18	12%

1919 წლიდან დღემდე, ქალების პოლიტიკური მონაწილეობის დინამიკა ცხადყოფს, რომ „კვოტირება“ არის ყველაზე პროდუქტიული/ეფექტური მექანიზმი ქალების პოლიტიკური მონაწილეობის გასაზრდელად. იგი უზრუნველყოფს ქალების რაოდენობის გაზრდას ხელისუფლების ყველა დონეზე და შეცვლის ქალების პოლიტიკურ მონაწილეობასთან დაკავშირებულ სტერეოტიპებსა თუ კულტურულ ნორმებს.

ამ მექანიზმის აუცილებლობის ნათელსაყოფად, საკმარისია მოვიტანოთ „კვოტირების“ დასავლური გამოცდილება და მაჩვენებლები, რომლებიც კეთილდღეობის და ქალების პოლიტიკური მონაწილეობის კავშირს აჩვენებს.

ევროკავშირის ქვეყნების პარტიები, რომლებმაც გამოიყენეს კვოტები (1992)				
ქვეყანა	პარტია	კვოტა	შიდაპარტიული კვოტა	%
ბელგია	ქრისტიანული სახალხო პარტია	კი	კი	–
	ფრანკოფონების სოციალისტური პარტია	კი	არა	20
	თავისუფლებისა და პროგრესის პარტია	კი	კი	20
გერმანია	სოციალ-დემოკრატიული პარტია	კი	კი	40
	მწვანეები	კი	კი	50
საბერძნეთი	ახალი დემოკრატიული პარტია	კი	არა	–
	KPL	კი	არა	–
დანია	სოციალ-დემოკრატიული პარტია	კი	არა	40
	სოციალისტური სახალხო პარტია	კი	კი	40
ირლანდია	ლეიბორისტები	კი	არა	20
ესპანეთი	ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტია	კი	კი	25
	კომუნისტური პარტია	კი	არა	25
იტალია	ქრისტიან-დემოკრატიული პარტია	კი	კი	–
	კომუნისტური პარტია	კი	არა	30
	მწვანეები	–	კი	50
ლუქსემბურგი	მწვანეები	კი	არა	40
	სოციალისტური პარტია	კი	არა	–
ნიდერლანდები	შრომის პარტია	–	კი	33
	მემარცხენე მწვანეები	–	კი	40
	ქრისტიან-დემოკრატიული განვევა	–	კი	26
პორტუგალია	სოციალისტური პარტია	კი	არა	25
დიდი ბრიტანეთისა და ჩრ. ირლანდიის გაერთიანებული სამეფო	ლეიბორისტული პარტია	კი	კი	–
	ლიბერალ-დემოკრატები	კი	არა	33
	Plaid Cymru – უელსის პრტია	კი	არა	33
საფრანგეთი	სოციალისტური პარტია	კი	არა	–

ცხრილი 3.
ქალებისადმი მეგობრული პოლიტიკა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში

ქვეყანა	საშუალო ბალი		საშუალო მნიშვნელობა
	ქალები როგორც ბენეფიციარები	ქალები როგორც ფოლისმეიქერები	
შვედეთი	4.75	5.00	4.88
ბელგია	4.25	2.71	3.48
ნორვეგია	4.25	4.75	4.50
ირლანდია	2.50	2.50	2.50
ფინეთი	4.50	4.40	4.45
საფრანგეთი	4.50	2.29	3.40
დანია	4.25	4.17	4.23
ესპანეთი	2.00	2.17	2.09
ნიდერლანდები	3.25	3.83	3.54
იტალია	2.00	2.00	2.00
ავსტრია	3.50	3.33	3.42
დიდი ბრიტანეთი	2.25	1.80	2.03
ლუქსემბურგი	3.00	3.20	3.10
საბერძნეთი	2.25	1.40	1.83
გერმანია	3.00	3.14	3.07
პორტუგალია	2.33	1.33	1.83

სასურველია, რომ „კვოტირების“ სისტემასთან დაკავშირებულ დებატში, სწორედ ის პოლიტიკოსი ქალები ჩაერთონ, რომელთაც ადგილობრივი თვითმმართველობის ან საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის გამოცდილება აქვთ. მათ ყველაზე კარგად ესმით ამ პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებული თავისებურებები და ყველაზე არსებითად შეუძლიათ ისაუბრონ სამომავლო სტრატეგიებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Valerie Bryson, Feminist Political Theory: An Introduction, MacMillan, UK, 1992/ სტატია ქართულად თარგმნა თამარ ცხადაძემ, ხელმისაწვდომია წიგნში „გენდერი , კულტურა, თანამედროვეობა“, რედაქტორი ლელა გაფრინდაშვილი, თბილისი, 2007).
2. John Stuart Mill “The Subjection of Woman“, 1861
3. Harriet Taylor, “Enfranchisement of Women“, London, Virago, 1983
4. Olympe de Gouges, “declaration of the Rights of Women“, edited by E. Reimar and C. Four, 1980
5. Christabel Pankhurst, “The Great Scourge and How to and It“, adited by J. Marcus, 1987
6. ჟურნალი „კვალი“, 1895
7. „ცისკარი“, 1861, სექტემბერი
8. „ივერია“, N209
9. გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, 1918, N32
10. ნინო ჩიხლაძე, ქართველი მწერალი და საზოგადო მოთვანე ქალები, თბილისი, 1990

პოპა ვილსონი

თვითმმართველობის რეფორმის ახალი ტალღა საქართველოში

თვითმმართველობის რეფორმის ახალი ტალღა საქართველოში

პოპა კილურაძე

ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი

საქართველოში, თვითმმართველობის რეფორმა პრიორიტეტულ რეფორმათა ჩამონათვალში ვერცერთი ხელისუფლების პირობებში ვერ ხვდებოდა. ამას თავისი მიზეზები აქვს. ეს შეიძლება იყოს კონფლიქტური რეგიონები, უმუშევრობის, ეკონომიკური განვითარების პრობლემები, რასაც თან ერთვის პოლიტიკური არასტაბილურობა. თვითმმართველობის რეფორმა გარკვეულწილად დაკავშირებულია აღნიშნულ პრობლემებთან და თვითმმართველობის საკითხის გადაწყვეტა მნიშვნელოვნად გააადვილებდა სხვა მასთან, დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტას, თუმცა მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში. ხელისუფლებაში მყოფი ძალების გრძელვადიანი და, ხშირ შემთხვევაში, პოპულისტური მიდგომებიდან გამომდინარე, თვითმმართველობა ვერ იქცა პრიორიტეტად. ამას ემატება ისიც, რომ საზოგადოებიდან არ არის დაკვეთა თვითმმართველობის რეფორმაზე. ნაკლებად არსებობს მოთხოვნილება და შესაბამისი განწყობები, ხელისუფლებას დაუკვეთოს არა მოკლევადიან პერსპექტივაზე გათვლილი პროგრამები, არამედ თვითმმართველობის რეფორმა, რომელიც ქმნის გარემოს და წინაპირობებს, რათა ადამიანებმა საკუთარი ძალებით და პასუხისმგებლობით, ქმედითი მონაწილეობის ფორმების გამოყენებით, მართონ ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეები.

1. დეცენტრალიზაციის პრინციპების კონცეფცია

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების და ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, მმართველი უმრავლესობა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ინიციატივით გამოვიდა. ინიციატივას მალევე მოჰყვა კონკრეტული ნაბიჯები. 2013 წლის 1 მარტს, საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები²⁴ 2013-2014 წლებისთვის, რომელიც საკმაოდ ამბიციური, დროში გაწერილი გეგმა იყო. აღნიშნული გეგმის რეალიზება დაევა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სხვა სამინისტროებთან კოორდინაციაში და პარლამენტის თვითმმართველობის კომიტეტთან თანამშრომლობით.

24 საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის N 223 განკარგულება. „საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები 2013-2014 წლებისთვის“.

მნიშვნელოვანი მიზეზები და მიზნები, რის გამოც დაიგეგმა თვითმმართველობის რეფორმა:

- ✓ მაქსიმალურად ცენტრალიზებული სისტემა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მომსახურების ადეკვატურ მიწოდებას;
- ✓ უზრუნველყოფილი არ არის გადანაცვტილების მიღებაში მოქალაქეთა ჩართულობა;
- ✓ გაუმართავი მართვის სისტემა ვერ უზრუნველყოფს, ადეკვატურ პასუხს სხვადასხვა გამოწვევაზე.²⁵

აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად, შემუშავდა თვითმმართველობის რეფორმის ძირითადი მიმართულებები, რომელიც ეყრდნობა შემდეგ ასპექტებს:

- ✓ მართვის დემოკრატიულობა, მოქალაქეებისთვის ადეკვატური მომსახურებების მიწოდება;
- ✓ მართვის პროცესში, მოქალაქეთა გააქტიურება და უშუალო ჩართულობის უზრუნველყოფა; თითოეულ დასახლებულ პუნქტში შეიქმნება საზოგადოებრივი თვითმმართველობები;
- ✓ მოხდება თვითმმართველ ერთეულთა სრულყოფილი ოპტიმიზაცია, მათი რაოდენობის ზრდა, გაძლიერება ფინანსურად და ფუნქციურად;
- ✓ სამხარეო დონეზე თვითმმართველობის კომპონენტების შემოტანა;
- ✓ სახელმწიფო ზედამხედველობის ეფექტური ფორმების დამკვიდრება;
- ✓ რეფორმის პროცესის ტექნიკური, რესურსული, სამართლებრივი უზრუნველყოფა;²⁶

2. თვითმმართველობის განხორციელების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლებია:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია“;
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები;
- ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ.“²⁷

²⁵ იქვე, გვ.2;

²⁶ იქვე, გვ.3;

²⁷ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 5.1;

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილება განისაზღვრება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონით. ასევე, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონისა და ამ კანონის ნორმების გათვალისწინებით.²⁸

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების საკითხები განისაზღვრება, შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შემდეგ.²⁹

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილება არ ვრცელდება თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებზე.³⁰

3. საქართველოს კონსტიტუცია და თვითმმართველობის უფლება

საქართველოს კონსტიტუცია, თვითმმართველობას აცხადებს როგორც მოქალაქეთა უფლებას და შესაძლებლობას. ამავდროულად განსაზღვრავს მოქალაქეთა ვალდებულებებსაც. ხოლო ამ უფლების რეალიზებისთვის სახელმწიფოს აკისრებს განსაკუთრებულ მოვალეობას, „თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს ანესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით, სახელმწიფო სუვერენიტეტის შეუღახავად.“³¹

კონსტიტუციის მე-7¹ თავი განსაზღვრავს თვითმმართველობის განხორციელების უმთავრეს საფუძვლებს, კერძოდ:

- ✓ თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების ანგარიშვალდებულება წარმომადგენლობითი ორგანოების წინაშე³²;
- ✓ მოქალაქეთა უფლება პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიონ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო.³³
- ✓ სახელმწიფოს ვალდებულება, ადმინისტრაციული საზღვრების გადასინჯვის ან თვითმმართველი ერთეულის გაუქმებისას, გამართოს სავალდებულო კონსულტაციები თვითმმართველ ერთეულთან.³⁴

28 იქვე, მუხლი 5.2;

29 იქვე, მუხლი 5.3;

30 იქვე, მუხლი 5.4;

31 საქართველოს კონსტიტუცია, მე-2 მუხლი მე-4 პუნქტი.

32 იქვე, მუხლი 101¹.1;

33 იქვე, მუხლი 101¹.2;

34 იქვე, მუხლი 101¹.3;

- ✓ სახელმწიფო ორგანოთა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპები. ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებები გამიჯნულია სახელმწიფო ორგანოთა უფლებამოსილებებისაგან. თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებანი.³⁵
- ✓ ქონება და დამოუკიდებელი ფინანსები.³⁶
- ✓ მუნიციპალური ორგანოების მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების სავალდებულობა.³⁷
- ✓ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების ფორმები და პირობები.³⁸

4. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

2014 წლის 5 თებერვალს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.“³⁹ კოდექსის ახალი რედაქცია ძირითადად ძალაში შედის 2014 წლის 15 ივნისის, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან.⁴⁰ ასევე, მიუხედავად იმისა, რომ კოდექსის მიხედვით, საკრებულოების, მერის და გამგებლის უფლებამოსილების ვადა 4 წელია, 2014 წელს არჩეული მუნიციპალური ორგანოების უფლებამოსილების ვადა განისაზღვრა 3 წლით.⁴¹

კოდექსმა განმარტა და დააკონკრეტა კონსტიტუციით განსაზღვრული თვითმმართველობის ცნება, გათვალისწინებულ იქნა თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის დებულებები.⁴²

უმთავრესი ცვლილებები, რომელიც მოიტანა ახალი თვითმმართველობის კოდექსის ამოქმედებამ, არის: გამგებლების/მერების პირდაპირი არჩევითობა და 7 ახალი თვითმმართველი ქალაქის გამოყოფა. ყველა დანარჩენი სიახლე გადაიდო, არჩევნების შემდგომი პერიოდისთვის.

35 იქვე, მუხლი 101².1;

36 იქვე, მუხლი 101³.1;

37 იქვე, მუხლი 101³.2;

38 იქვე, მუხლი 101³.1;

39 წინამდებარე თავში გამოყენებულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის რედაქცია 2014 წლის 10 მაისის მდგომარეობით.

40 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 167.2;

41 იქვე, მუხლი 150.3

42 იქვე, მუხლი 2.1-2

4.1. ახალი კოდექსის რეგულირების სფერო

ახალი კოდექსის რეგულირების სფეროს წარმოადგენს:

- ✓ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა;
- ✓ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებები;
- ✓ მუნიციპალიტეტის შექმნისა და საქმიანობის წესები;
- ✓ მუნიციპალიტეტის ფინანსები და ქონება;
- ✓ მოქალაქეების ურთიერთობები მუნიციპალურ და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან;
- ✓ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების წესები.⁴³

4.2. თვითმმართველობის უფლების განხორციელების გარანტიები

კანონი ქმნის თვითმმართველობის უფლების განხორციელების გარანტიებს, რომელიც ემყარება შემდეგ პრინციპებს:

- ✓ სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის ორგანოების ურთიერთობა ემყარება ურთიერთთანამშრომლობის პრინციპს.⁴⁴
- ✓ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან, შექმნან შესაბამისი სამართლებრივი, საფინანსო-ეკონომიკური და ორგანიზაციული პირობები.⁴⁵
- ✓ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან, იმ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებამდე, რომელიც შეეხება ამ კანონით დადგენილ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებს, წინასწარი კონსულტაციები გამართონ იმ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებთან, რომლებიც ქვეყნის მუნიციპალიტეტების ნახევარზე მეტს აერთიანებენ⁴⁶.

43 იქვე, მუხლი 1;

44 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 7.1

45 იქვე, მუხლი 7.2;

46 იქვე, მუხლი 7.3;

- ✓ მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და ქმედებების გასასაჩივრებლად, რომლებიც ზღუდავს ადგილობრივი თვითმმართველობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებას.⁴⁷

4.3. სიახლეები, რომელიც უნდა მოჰყვას კოდექსის ამოქმედებას

როგორც ზემოთ აღინიშნა, უმთავრესი ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია ახალ კოდექსთან, ეს არის მერებისა და გამგებლების პირდაპირი არჩევითობა – „გამგებელი/მერი აირჩევა 4 წლის ვადით, პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი წესით.“⁴⁸ ამასთანავე, მერი და გამგებელი არის „მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი არის გამგებელი თვითმმართველ თემში და მერი თვითმმართველ ქალაქში.“⁴⁹

წინა კანონთან შედარებით, იზრდება გამგებლის/მერის უფლებამოსილებები⁵⁰, ახალი კოდექსით გათვალისწინებულია გამგებლისთვის/მერისთვის პოლიტიკური უნდობლობის გამოცხადების შესაძლებლობა. აღნიშნული ინიციატივის დაყენების უფლება აქვს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტს ან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 20 პროცენტს.⁵¹ ხოლო საკითხი განიხილება და გადაწყვეტილება მიიღება მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 10 დღისა. გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობა გამოცხადებულად ჩაითვლება, თუ ინიციატივას მხარს დაუჭერს საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა. გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადება იწვევს მისი უფლებამოსილების შეწყვეტას.⁵²

წინა კანონში, გამგეობა შედგებოდა სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოებისგან. ახალი კოდექსით, გამგეობა/მერია მხოლოდ სტრუქტურული ერთეულებისგან შედგება და ტერიტორიული წარმომადგენლის დანიშვნა გამგებლის/მერის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს.⁵³

2015 წლიდან, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, კანონის მოთხოვნის შესაბამისად, გაჩნდება ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების სწავლებისთვის საჭირო სახსრები.

47 იქვე, მუხლი 7.4;

48 იქვე, მუხლი 49.1;

49 იქვე, მუხლი 48.1;

50 იქვე, მუხლი 54;

51 იქვე, მუხლი 51.1

52 იქვე, მუხლი 51.10

53 იქვე, მუხლი 54.2

მუნიციპალიტეტი, ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა სწავლება -გადამზადებისთვის, მიმართავს შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1 პროცენტს.⁵⁴

თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს დაემატა წყალმომარაგების (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალარინების უზრუნველყოფა; ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემის განვითარება.⁵⁵

კოდექსის მიხედვით, განხორციელება ოპტიმიზაციის პროცესი, დაყოფის მიმართულებით. გამოიყოფა 7 ახალი თვითმმართველი ქალაქი და გაუქმებული მუნიციპალიტეტის ადგილზე, მათთან ერთად იქმნება 7 ახალი თვითმმართველი თემი.⁵⁶ აღნიშნული პროცესის გაგრძელება იგეგმება 2017 წლამდე.⁵⁷

ადგილობრივი ბიუჯეტის დამოუკიდებლობის და ადგილობრივი შემოსავლების ზრდის მიზნით, 2014 წლის 1 სექტემბრამდე, ფინანსთა სამინისტრომ უნდა წარმოადგინოს წინადადებები, ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის საშემოსავლო გადასახადის განაწილებასთან დაკავშირებით.⁵⁸

კანონით დადგინდა მაქსიმალური ზედა ზღვარი ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებული, საჯარო მოსამსახურეების რაოდენობაზე. ის განისაზღვრა შემდეგნაირად: გამგეობის/მერიის და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხებით გათვალისწინებულ, ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობაა არანაკლებ 30 ერთეულისა. ის არ უნდა აღემატებოდეს საჯარო მოსამსახურეთა აღნიშნული მინიმალური რაოდენობის (30 საშტატო ერთეული), შესაბამის საკრებულოში 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებისათვის დადგენილი მაჟორიტარული ოლქების რაოდენობის და თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ყოველ 500 ამომრჩეველზე 1 საშტატო ერთეულის დამატებით მიღებულ ჯამს.⁵⁹ ამასთან, გამგეობის/მერიის და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების 25 პროცენტს.⁶⁰

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2017 წლის 1 იანვრამდე, შეიმუშავებენ მუნიციპალიტეტებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების

54 იქვე, მუხლი 101.2;

55 იქვე, 16.2.თ;

56 იქვე, მუხლი 151.1

57 იქვე, მუხლი 152.1.გ

58 იქვე მუხლი 154.2;

59 იქვე, მუხლი 156.1;

60 იქვე, მუხლი 156.3;

გადაცემის ვადების ამსახველ შესაბამის გრაფიკსა და წესს და მათ დასამტკიცებლად წარუდგენენ საქართველოს მთავრობას.⁶¹

კოდექსის მიხედვით, სამხარეო დონეზე იქმნება ახალი ორგანო, საკონსულტაციო საბჭო. სამხარეო საკონსულტაციო საბჭო არის სახელმწიფო რწმუნებულთან, გუბერნატორთან – არსებული მუნიციპალიტეტთა საკონსულტაციო ორგანო. სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს მიზანია, უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ინტერესების წარმოდგენა და გათვალისწინება სახელმწიფო რწმუნებულის, გუბერნატორის უფლებამოსილების განხორციელების, ტერიტორიის განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.⁶² სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობრივად შედის ყველა შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი, საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.⁶³

5. ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ

1968 წელს, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მიიღეს დეკლარაცია თვითმმართველობის უფლებების შესახებ, რომელსაც 1981 წლიდან, კონვენციის სახე მიეცა და სავალდებულო გახდა ევროგაერთიანების წევრი ქვეყნებისათვის. 1984 წელს, რომის უმაღლესი დონის შეხვედრაზე, ევროგაერთიანების წევრმა ქვეყნებმა აღიარეს ევროპული ქარტია თვითმმართველობის შესახებ, რომელიც 1985 წელს, კონვენციად იქცა. 2002 წლის 23 მაისს, საქართველო შეუერთდა ზემოხსენებულ ქარტიას და 2004 წლის 26 ოქტომბერს მოახდინა მისი რატიფიცირება (2005 წლის 1 აპრილს კი ძალაში შევიდა).⁶⁴

ქარტიამ განსაზღვრა საერთო ევროპული მინიმალური სტანდარტები. ქარტიის მიხედვით, „ადგილობრივი თვითმმართველობა ნიშნავს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებასა და შესაძლებლობას, კანონის ფარგლებში მოაწესრიგონ და მართონ საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი წილი, მათი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად“.⁶⁵

„ამ უფლების განხორციელება ხდება საბჭოების ან ასამბლეების მიერ, რომლებიც შედგებიან პირდაპირი, თანაბარი და თანასწორი ხმის მიცემის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით არჩეული წევრებისაგან და რომლებთანაც შეიძლება არსებობდნენ მათ წინაშე პასუხისმგებელი აღმასრულებელი ორგანოები. ეს დებულება არანაირ ზეგავლენას არ

61 იქვე, მუხლი 162;

62 იქვე, მუხლი, 146.1-2;

63 იქვე, მუხლი 147;

64 დავით ლოსაბერიძე თვითმმართველობა საქართველოში პოლიტიკის ანალიზი - დეცენტრალიზაციის პროცესის ზოგადი შეფასება (1991-2012) 5-ნგე;

65 ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებსტრასბურგი, 15.X.1985, მუხლი 3.1;

მოახდენს მოქალაქეთა მონაწილეობაზე ასამბლეებში, რეფერენდუმებსა და ნებისმიერი სახის პირდაპირ მონაწილეობაზე იქ, სადაც ეს კანონით ნებადართულია.”⁶⁶

საქართველოში, თვითმმართველობის განხორციელება ძირითადად სწორედ ამ სამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს ეყრდნობა. ესენია: საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტია და საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.“ ასევე, სახელმწიფო ზედამხედველობა ხორციელდება საქართველოს კანონის შესაბამისად „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ.“ დედაქალაქ თბილისში, თვითმმართველობა ხორციელდება საქართველოს კანონის „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ შესაბამისად, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან, ზედამხედველობის და თბილისის შესახებ კანონები ძალადაკარგულად ცხადდება და ორივე ეს ნაწილი უკვე შესულია ახალმიღებულ, ორგანულ კანონში. ამ კანონის მიღებისას, კანონმდებლის მიზანი სწორედ ის იყო, რომ ერთ სამართლებრივ დოკუმენტში გაეერთიანებინა სფეროს მომწესრიგებელი ნორმები, თუმცა ეს მიზანი ბოლომდე ვერ იქნა მიღწეული, რადგან თვითმმართველობის თემა იმდენ სხვადასხვა სფეროსთან არის დაკავშირებული, რომ ნორმების ნაწილი მაინც გაფანტულია.

66 იქვე, მუხლი 3.2;

წინასაარჩევნო კამპანია/აგიტაცია

ლინა ღვინიაიძე

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

წინამდებარე ტექსტი შეეხება წინასაარჩევნო კამპანიის/აგიტაციის წარმოების წესს. კერძოდ, კამპანიასა და აგიტაციასთან დაკავშირებით, საარჩევნო კანონმდებლობით⁶⁷ დადგენილ რეგულირებას, აგიტაციაში მონაწილე სუბიექტებისათვის არსებულ შეზღუდვებსა და აგიტაციის მიზნებისათვის შენობა-ნაგებობებით სარგებლობის წესს. ასევე, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აკრძალვისათვის განსაზღვრულ რეგულირებასა და გამონაკლისებს. აღნიშნული თავი არ შეეხება მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების საკითხებსა და კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფას.

1. წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) დაწყება და მისი ფარგლები

საქართველოს საარჩევნო კოდექსის (შემდგომში – კოდექსი) თანახმად, წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) იწყება არჩევნების დანიშვნის თაობაზე გამოცემული, სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებისთანავე. სწორედ, ამ მომენტიდან, პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატები სარგებლობენ თანასწორი უფლებებით და აკისრიათ თანაბარი ვალდებულებები.⁶⁸

კანონმდებლობა **საარჩევნო კამპანიად** მიიჩნევს, საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მიერ არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების მიზნით, ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობას.⁶⁹ ხოლო **წინასაარჩევნო აგიტაცია** განიმარტება, როგორც „ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის, წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა.“⁷⁰

საარჩევნო კოდექსი შეეხება წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაცია) პერიოდში, პოლიტიკური

67 წინამდებარე თავში გამოყენებულია საქართველოს საარჩევნო კოდექსის რედაქცია 2014 წლის 10 მაისის მდგომარეობით;

68 საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 45.1;

69 იქვე, მუხლი 2.3;

70 იქვე, მუხლი 2.3’;

პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატისა და საარჩევნო სუბიექტის მიერ, კამპანიის მიზნებისათვის სხვადასხვა ღონისძიების განხორციელების შესაძლებლობებს, რაც ძირითადად ქმედებების ფორმას უკავშირდება. თუმცა, ეს აქტი ასევე არეგულირებს და განსაზღვრავს წინასაარჩევნო პროგრამის შინაარსს.

წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში, მითითებულ სუბიექტებს უფლება აქვთ დაამზადონ წინასაარჩევნო მოწოდებები, განცხადებები, წარწერები, ფოტომასალები, ფურცლები, და სხვა მსგავსი ტიპის სააგიტაციო მასალა.⁷¹ შინაარსობრივი შეზღუდვის მიხედვით კი, საარჩევნო პროგრამა არ უნდა შეიცავდეს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობით შეცვლისკენ ან დამხობისკენ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისკენ, ეროვნული შუღლისა და მტრობისკენ, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისკენ მოწოდებას.⁷²

2. წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლება და მისი შეზღუდვა

საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევისა და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს. თუმცა, კანონმდებლობა აქვე ადგენს გარკვეულ პირთა ჯგუფებს, რომლებზეც ვრცელდება აგიტაციის გაწევისა და მასში მონაწილეობის განსხვავებული რეჟიმი. შესაბამისად, ეს პირები, გამომდინარე მათი პოზიციიდან, ხვდებიან საარჩევნო აგიტაციის განხორციელების აკრძალვის ან შეზღუდვის კატეგორიებში.

კოდექსი პირდაპირ ჩამოთვლის პირთა წრეს, რომელთაც **არ აქვთ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევისა და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება**. ეს სუბიექტები არიან: საარჩევნო კომისიის წევრები, მოსამართლეები, საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, პროკურატურის, დაზვერვის სამსახურისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საჯარო მოხელეები, გენერალური აუდიტორი, საქართველოს სახალხო დამცველი, უცხო ქვეყნის მოქალაქე და ორგანიზაცია, საქველმოქმედო და რელიგიური ორგანიზაციები, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრები.⁷³

განსხვავებით ზემოთ მითითებული სუბიექტებისა, რომელთაც ეკრძალებათ აგიტაციაში მონაწილეობის მიღება, შეზღუდვის რეჟიმი ვრცელდება სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებზე, რომელთათვისაც აგიტაციაში მონაწილეობა დაუშვებელია სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს.⁷⁴

71 იქვე, მუხლი 45.2;

72 იქვე, მუხლი 45.3;

73 იქვე, მუხლი 45.4;

74 იქვე, მუხლი 45.4.თ;

3. წინასაარჩევნო აგიტაციის აკრძალვა გარკვეულ შენობებში/ ადმინისტრაციული შენობების გამოყენების წესი

კოდექსი ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ვალდებულებას ხელი შეუწყონ პოლიტიკურ პარტიებს/საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში, უზრუნველყონ ამ ღონისძიებების უსაფრთხოება.⁷⁵ აქვე განსაზღვრავს, რომ მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების გასამართად სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გამგებლობაში არსებული შენობები უსასყიდლოდ ეთმობა საარჩევნო კომისიებს.⁷⁶

შენობა-ნაგებობების სამართლიანი გამოყენებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებიდან 5 დღის ვადაში შეადგინონ იმ შენობა-ნაგებობების ნუსხა, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) და გადასცენ იგი საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელიც მას გაასაჯაროებს, მიღებიდან 2 დღის ვადაში. მათზე თანაბარი წვდომის უზრუნველსაყოფად, უნდა შედგეს საარჩევნო ღონისძიებათა გამართვის განრიგი.⁷⁷ სუბიექტის მოთხოვნას, შენობა-ნაგებობის გამოყენების თაობაზე, დასაბუთებულად უნდა გაეცეს პასუხი მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა. ამ ვადაში პასუხის გაუცემლობა ჩაითვლება მიმართვაზე თანხმობად.⁷⁸

კანონმდებლობა კრძალავს წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარებას შემდეგი დაწესებულებების შენობებში: საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები, სასამართლოები და სამხედრო ნაწილები.⁷⁹ ასევე, კენჭისყრის დღეს, წინასაარჩევნო აგიტაცია აკრძალულია კენჭისყრის შენობაში.⁸⁰

4. სააგიტაციო მასალა და მისი განთავსების წესი

კოდექსი იძლევა განმარტებას თუ რა იგულისხმება სააგიტაციო მასალაში. ასეთად მიიჩნევა პლაკატი, დროშა და ნებისმიერი სხვა მასალა, რომელზეც გამოსახულია საარჩევნო სუბიექტი/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი ან/და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი.⁸¹

⁷⁵ იქვე, მუხლი 45.6;

⁷⁶ იქვე, მუხლი 45.8;

⁷⁷ იქვე, მუხლი 45.9;

⁷⁸ იქვე, მუხლი 45.10;

⁷⁹ იქვე, მუხლი 45.5;

⁸⁰ იქვე, მუხლი 45.11;

⁸¹ იქვე, მუხლი 2, ქვეპუნქტი 3⁷;

კანონმდებლობა ადგენს, რომ სააგიტაციო მასალის გამოფენა შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მხოლოდ მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაშია შესაძლებელი,⁸² ხოლო მათი განთავსება/გაკვრა საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე პირდაპირ არის აკრძალული.⁸³

ამასთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან განსაზღვრონ იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, რომლებზეც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია, და განსაზღვრონ ადგილები ან/და დადგან სტენდები, სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად. აღნიშნული ინფორმაცია ქვეყნდება არჩევნების დანიშნვიდან არაუგვიანეს 10 დღისა.⁸⁴

ბეჭდვით სააგიტაციო მასალაზე აღნიშნული უნდა იყოს დამამზადებელი და დამკვეთი ორგანიზაციების სახელწოდებები, მისამართები, ინფორმაცია მისი ტირაჟის, რიგითი ნომრისა და გამოშვების თარიღის შესახებ. ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის ეგზემპლარები წარედგინება იმ საარჩევნო კომისიას, რომელშიც საარჩევნო სუბიექტმა გაიარა საარჩევნო რეგისტრაცია.⁸⁵

კანონმდებლობა ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სააგიტაციო მასალის ჩამოხსნის, ჩამოხევის, დაფარვისა ან დაზიანების შემთხვევაში, თუ ის აკრძალულ ადგილას არ არის განთავსებული.⁸⁶ ამასთან, აკრძალულია მისი გავრცელებისათვის ხელის შეშლა და ჩამორთმევა.⁸⁷

შესაბამისი საარჩევნო სუბიექტი, არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში, ვალდებულია უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა.⁸⁸

82 იქვე, მუხლი 46.1;

83 იქვე, მუხლი 46.2;

84 იქვე, მუხლი 46.4-5;

85 იქვე, მუხლი 46.6-7;

86 იქვე, მუხლი 46.71;

87 იქვე, მუხლი 45.2;

88 იქვე, მუხლი 46.8;

5. წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიისა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა

კანონმდებლობა კრძალავს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნებისათვის და ადგენს რეგულაციებს, რომელიც რესურსის სხვადასხვა ფორმას მიემართება.

5.1. მატერიალურ-ტექნიკური რესურსის გამოყენების აკრძალვა

კოდექსის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე, ნებისმიერ პირს, წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში, ეკრძალება ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება; მათ შორის, იკრძალება:

ა) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, აგრეთვე იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, დაკავებული შენობების გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ სხვა პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებს, საარჩევნო სუბიექტებს არა აქვთ იმავე ან ანალოგიური დანიშნულების შენობების, იმავე პირობებით, გამოყენების შესაძლებლობა;

ბ) სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებებისათვის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება;

გ) სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება.

გამონაკლისი: „გ“ პუნქტით დადგენილი შეზღუდვა არ ვრცელდება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების⁸⁹ მიერ, მათი სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების შემთხვევაზე, რომელთა დაცვას, კანონით დადგენილი წესით, უზრუნველყოფს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური.⁹⁰

5.2. თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვა

კოდექსი ასევე ადგენს საბიუჯეტო თანხების, თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვას. კერძოდ, წინასაარჩევნო აგიტაციაში

89 სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების ჩამონათვალი იხილეთ კოდექსის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში;

90 იქვე, მუხლი 48.1-2;

მონაწილეობის უფლების მქონე პირს, რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოში უკავია თანამდებობა, ეკრძალება წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში, თავისი თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება. აღნიშნულში კი მოიაზრება: ა) სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმა ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას; ბ) სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფინანსებული სამსახურებრივი მივლინებების დროს, ხელმოწერების შეგროვება და წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა; გ) წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა სამუშაო საათების განმავლობაში ან/და სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას.

გამონაკლისი: „გ“ პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრულ პოლიტიკური თანამდებობის პირებზე.⁹¹

5.3. ახალი პროგრამების/პროექტების განხორციელებისა და სოციალური გასაცემლების ოდენობის ზრდის აკრძალვა

არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან, არჩევნების დღის ჩათვლით, აკრძალულია ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელება, რომლებიც მანამდე არიყო გათვალისწინებული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროექტები/პროგრამები ფინანსდება არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე შესაბამისი ბიუჯეტის სათანადო პროგრამული კოდით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში ან/და ამ ასიგნებებიდან გამოყოფილი სახსრებით, აგრეთვე დონორების მიერ გამოყოფილი სახსრებით. იმავე პირობებითა და დროით პერიოდში იკრძალება სოციალური გასაცემლების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ოდენობების ზრდა.

გამონაკლისი: პროგრამების/პროექტებისა და სოციალური გასაცემლების თაობაზე შეზღუდვა არ ვრცელდება სტიქიური უბედურების ან სხვა ფორსმაჟორული გარემოების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსებაზე.⁹²

5.4. საკუთარი გადაადგილების აკრძალვა

კანონმდებლობის თანახმად, საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის ვადის გასვლიდან, კენჭისყრის დღის დამთავრებამდე, აკრძალულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, პოლიციისა და პროკურატურის ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა საკუთარი გადაადგილება, გარდა მათი უფლებამოსილების ვადის გასვლის ან/და მათ მიერ კანონის დარღვევის შემთხვევებისა.⁹³

91 იქვე, მუხლი 49.1-2;

92 იქვე, მუხლი 49.3.4.5;

93 იქვე, მუხლი 49.7;

6. პასუხისმგებლობა წინასაარჩევნო აგიტაციის ნორმების დარღვევისათვის

საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის ზომებს წინასაარჩევნო აგიტაციის ნორმების დარღვევისათვის. კერძოდ, კოდექსის თანახმად, დაჯარიმებას ექვემდებარება შემდეგი სამართალდარღვევები:

- წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით;
- წინასაარჩევნო მოწოდებების, განცხადებების, წარწერების, ფურცლების, ფოტო- და სხვა მასალების გავრცელებისათვის ხელის შეშლა და ჩამორთმევა. აგრეთვე, სააგიტაციო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო და სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილი სხვა საშუალებების ჩამორთმევა ან წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით მათი გამოყენებისათვის ხელის შეშლა;
- წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისა და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება;⁹⁴

მითითებული სამართალდარღვევების შემთხვევაში, სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ ცესკო, აგრეთვე, ცესკოსა და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები (თანამდებობის პირები). წინასაარჩევნო მოწოდებების გავრცელების ხელშეშლისათვის (მუხლი 80) კი სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. სამართალწარმოება კი ხორციელდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.⁹⁵

7. უწყებათაშორისი კომისია

საჯარო მოსამსახურეების მიერ, საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან იქმნება უწყებათაშორისი კომისია. აღნიშნული ორგანო იხილავს საკითხებს, რომელიც უკავშირდება საჯარო მოსამსახურეების მიერ, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით, მედიით გავრცელებულ ან შესაბამისი სუბიექტების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას.

დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია რეკომენდაციით მიმართოს ნებისმიერ საჯარო მოსამსახურეს, ადმინისტრაციულ ორგანოს და ცესკოს, გონივრულ ვადაში, შესაბამისი ღონისძიებების გატარების მოთხოვნით.⁹⁶

94 იქვე, მუხლები, 79, 80, 88;

95 იქვე, მუხლი 93;

96 იქვე, მუხლი 48.3-9;

საარჩევნო კამპანია და სოციალური მედია

ლაშა ქაჭტარაძე

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

წინასაარჩევნო კამპანია, იმისდა მიუხედავად, თუ რა ტიპის არჩევნებს შეეხება საქმე, მნიშვნელოვან სოციალურ-პოლიტიკურ გადანაცვლებასთან ერთად, შესაძლოა, საინტერესო და ადამიანების ბედზე გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე გამოცდილებაც იქცეს.

დასაწყისშივე უნდა ითქვას, რომ არ არსებობს ისეთი უნივერსალური გამოცდილება, რომელიც ყველა საარჩევნო სუბიექტს (შემდგომში – სუბიექტი) თანაბრად მიესადაგება. მითუმეტეს, როდესაც საუბარია ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნებზე. მუნიციპალიტეტები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც გეოგრაფიული, ისე დემოგრაფიული მახასიათებლებით. შესაბამისად, განსხვავებულია ამათუიმ მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა საჭიროებებიც. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია იმ ზოგადი ასპექტების დადგენა, რომელთა გათვალისწინებაც წინასაარჩევნო კამპანიას უფრო საინტერესოს და ამავდროულად, ეფექტურს გახდის.

1. საარჩევნო კამპანიის დაგეგმვა

საარჩევნო კამპანიის დაგეგმვა, რეალობაში გაცილებით უფრო რთული და კომპლექსურია, ვიდრე ეს ფურცელზე დაწერილი შეიძლება ჩანდეს. ვინაიდან ამ პროცესის ყველა დეტალის გათვალისწინება ფიზიკურად შეუძლებელია, წინამდებარე ტექსტში მხოლოდ და მხოლოდ იმ საფეხურებზე იქნება საუბარი, რომელთა გავლაც წარმატებული საარჩევნო კამპანიის წარმართვისთვისაა საჭირო:

- კვლევა;
- სტრატეგიის განსაზღვრა/დაგეგმვა;
- ამომრჩეველთა ანალიზი და სეგმენტაცია;
- საარჩევნო მესიჯი;
- ამომრჩეველთან ურთიერთობის გეგმა;
- გეგმის განხორციელება.

რას გულისხმობს ეს საფეხურები და როგორია მათ განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები?

1.1. კვლევა

წინასაარჩევნო კვლევა, შეიძლება ითქვას, სუბიექტის მიმდინარე და მომავალი საქმიანობის საწყისი და ამასთანავე, უმნიშვნელოვანესი ეტაპია. აღნიშნული ეტაპი ინფორმაციის მოძიებასა და მის ანალიზს, მოგვიანებით კი ამ ინფორმაციის კამპანიის სტრატეგიის განხორციელების ეტაპზე გამოყენებას გულისხმობს. ზუსტად იმიტომ, რომ ყველა კამპანია უნიკალურია, აუცილებელია საწყის ეტაპზე კვლევის ჩატარება და იმ შტრიხების გამოვლენა, რომლების ცოდნაც შესაძლოა გადამწყვეტი აღმოჩნდეს არჩევნებში გამარჯვებისათვის.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე სუბიექტმა, მაქსიმალური სიზუსტით უნდა გამოიკვლიოს თავისი ტერიტორიული ორგანოს და ამ ტერიტორიაზე მცხოვრებთა საჭიროებები, პრიორიტეტები, სურვილები და გადაუჭრელი, თუმცა მნიშვნელოვანი პრობლემები. აღნიშნულის დადგენაში, კი მას დაეხმარება როგორც **რაოდენობრივი**, ასევე **თვისებრივი** კვლევების ჩატარება. მთავარია, რომ პასუხი გაცეს ამ და არა მხოლოდ ამ შეკითხვებს:

- როგორია საარჩევნო გარემო და არჩევნებთან დაკავშირებული რეგულაციები?
- როგორია იმ ადგილის თავისებურებები, სადაც კენჭს იყრის სუბიექტი?
- რა თავისებურებებით ხასიათდებიან ადგილობრივი ამომრჩევლები?
- როგორია წინა არჩევნების პრაქტიკა?
- რა ფაქტორები ახდენენ გავლენას არჩევნებზე, ამ ტერიტორიულ ორგანოში?
- რომელია სუბიექტის სუსტი და ძლიერი მხარეები?
- იცნობს თუ არა სუბიექტი კონკურენტებს და მათ ძლიერ/სუსტ მხარეებს?

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ კითხვებისა, რომლებზე პასუხის გაცემაც საარჩევნო სუბიექტებს კვლევისას მოუწევთ. უმჯობესი იქნება, რაც უფრო მეტ მსგავს შეკითხვაზე ექნებათ მათ პასუხები (საუკეთესო შემთხვევაში დოკუმენტური ფორმით.)

1.2. სტრატეგია

ნებისმიერი საარჩევნო **სტრატეგიის მიზანი** გამარჯვებაა. თუმცა, ეს ისედაც ცხადია, ამიტომაც მთელი ყურადღება იმის განსაზღვრაზე უნდა გადავიდეს, კონკრეტულად რისი გაკეთება მოუწევს საარჩევნო სუბიექტს ამ მიზნის მისაღწევად.

ძალიან ხშირად, კანდიდატებს ავიწყდებათ დათვლა, თუ რამდენი ხმის მოგროვება სჭირდებათ გარანტირებული გამარჯვებისათვის და საიდან შეიძლება რომ ხმების ეს რაოდენობა დააგროვონ. ამის შემდეგ კი, ისინი ხარჯავენ უამრავ ფულს, რესურსსა და შესაძლებლობას, მთელ მოსახლეობასთან სასაუბროდ. ნაცვლად იმისა, რომ უფრო კრიტიკულად გაიაზრონ რეალობა და დაისახონ უფრო ეფექტური გეგმა. იმისათვის, რომ მსგავსი შეცდომა თავიდან იქნას აცილებული, აუცილებელია გამოირკვეს თუ რამდენი

მოსახლე ცხოვრობს სუბიექტის ტერიტორიაზე? ამათგან რამდენია ხმის მიცემის უფლების მქონე? რამდენმა პროცენტმა მიიღო მონაწილეობა წინა არჩევნებში? რამდენი ხმაა საჭირო გამარჯვებისათვის? რამდენი ოჯახი ცხოვრობს სუბიექტის ტერიტორიულ ორგანოში?

ამ ინფორმაციის მოძიება, ქართულ რეალობაში, შესაძლოა გარკვეულ სირთულეებს უკავშირდებოდეს, თუმცა **საქსტატის, ცესკო-ს**, სხვადასხვა **არასამთავრობო ორგანიზაციის** ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მეტ-ნაკლები წარმატებით, შესაძლებელია მსგავს შეკითხვებზე პასუხის გაცემა, რაც მოგვიანებით ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს არჩევნებში გამარჯვების მსურველთ, რათა ესაუბრონ არა არარსებულ, განზოგადებულ ამომრჩეველს, არამედ ამომრჩეველთა კონკრეტულ ერთობას.

1.3. ანალიზი და სეგმენტაცია

ამომრჩეველთა ანალიზი და სეგმენტაცია სუბიექტის საარჩევნო კამპანიისათვის, როგორც მინიმუმ, ორი ნიშნით იქნება მომგებიანი: დაზოგავს დროს, ფულსა და ადამიანურ რესურსს, ამის პარალელურად კი გაიზოგავს საქმეს საარჩევნო მესიჯის შემუშავებისას (რომლის მნიშვნელობაზეც ქვემოთ იქნება საუბარი).

გასათვალისწინებელია, რომ თუკი ე.წ. საზოგადოებრივი სეგმენტი, რომელზეც სუბიექტი საარჩევნო კამპანიას თვლის უმეტესწილად, ძალიან „ვინრო“ იქნება, ის თავიდანვე განწირული იქნებით დამარცხებისათვის, არასაკმარისი ხმების დაგროვების გამო. ხოლო თუკი საზოგადოების ზედმეტად „ფართო“ სეგმენტს აიღებს სამუშაოდ, მაშინ მას იგივე საფრთხე ემუქრება, რაც ამომრჩეველთა ანალიზსა და სეგმენტაციაზე უარის თქმის შემთხვევაში – სუბიექტის შესახებ გაგონილი ექნება ყველას, თუმცა არავის ეცოდინება სიღრმისეულად თუ რას სთავაზობს იგი და რას უნდა ელოდონ ისინი, სუბიექტის არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში.

1.3.1 როგორ ხდება სეგმენტაცია?

როგორც წესი, წინასაარჩევნო კამპანიებისას, ამომრჩეველთა დაყოფა ორი უმთავრესი ნიშნით ხდება: **გეოგრაფიული** და **დემოგრაფიული**. გეოგრაფიული დაყოფა მარტივია და სიტყვიდან გამომდინარე, ცხადია, რომ მასში ამომრჩეველთა ტერიტორიული განაწილების სპეციფიკა იგულისხმება. რაც შეეხება დემოგრაფიულ ნიშანს, ის შესაძლოა მოიცავდეს ასაკობრივ ასპექტს, სქესობრივ, ეთნიკურ ნიშნებს, შემოსავლის ოდენობას, განათლების დონეს და ა.შ.

აქვე, ცალკე უნდა გამოიყოს საზოგადოების არაერთგვაროვნების საკითხი და რამდენიმე სიტყვით უნდა ითქვას ამომრჩეველთა მულტიკულტურულობასა და არაჰომოგენურობაზე. აუცილებელია იმის გააზრება, რომ ელექტორატი, ისევე როგორც ზოგადად საზოგადოება, არ არის მონოლითური ერთობა, სადაც მხოლოდ

უმრავლესობას მიკუთვნებული ადამიანები ცხოვრობენ. თითოეული ხმის უკან, რომლის მისაღებადაც სუბიექტი საარჩევნო კამპანიაში ერთვება, ინდივიდი დგას, რომელსაც თავისი საჭიროებები გააჩნია და რომელიც საარჩევნო კანდიდატზე, როგორც საჯარო სივრცეში მის წარმომადგენელზე, გარკვეულწილად იმედსაც ამყარებს. აუცილებელია, კვლევისა და სტრატეგიის განსაზღვრის ეტაპზევე იქნას, გაცნობიერებული ეს, რაც გაამყარებს საარჩევნო სუბიექტის ლეგიტიმურობას, ასევე შეუქმნის გარანტიას, რომ მას მხარდამჭერები უფრო მეტი სოციალური ჯგუფიდან ეყოლება. პირველ რიგში, სწორედ საარჩევნო სუბიექტებმა უნდა გამოუცხადონ ბრძოლა ადამიანებისადმი წინასწარგანწყობებსა და სტერეოტიპებზე დამყარებულ დამოკიდებულებებს, რათა ერთი მხრივ, მოიპოვონ ინდივიდთა სოლიდარულობა სუბიექტის კანდიდატურის მიმართ, მეორე მხრივ კი, მართლაც პოზიტიური გავლენა იქონიონ მათ წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტისას.

ამომრჩეველთა ანალიზი და სეგმენტაცია საარჩევნო კანდიდატებს დაეხმარებათ განსაზღვრონ, თუ რომელ კონკრეტულ ჯგუფზე უნდა გააკეთონ გათვლა, რა არის ამ ჯგუფების წარმომადგენელთა საჭიროებები და რა პრობლემების აღმოფხვრაზე უნდა მიმართონ ყურადღება კამპანიის წარმართვისას. აქვე, ხაზი უნდა გაესვას იმასიც, რომ ჯგუფის მცირერიცხოვნობა, არ უნდა გახდეს განმსაზღვრელის სუბიექტისთვის სეგმენტაციის პროცესში. ამან შესაძლოა, კამპანიას არასწორი მიმართულება მისცეს. მაგალითად, ლგბტ (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი) ჯგუფის მცირერიცხოვნობა, შესაძლოა საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპებსა და არაჯანსაღი დამოკიდებულების ბრალი იყოს და სინამდვილეში, ეს ჯგუფი საარჩევნო სუბიექტის თემში, არც ისე მცირერიცხოვანი იყოს. ანდა, იმის გამო, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, არასათანადო გარემოპირობების გამო, საჯარო სივრცეში ნაკლებად რეალიზდებიან და მათი ხილვადობა დაბალია, ამან კამპანიის წარმმართველს არ უნდა აფიქრებინოს, რომ ეს ჯგუფი მათი კამპანიის უმნიშვნელო ნაწილი უნდა იყოს. სუბიექტებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ მათ დიდ ნაწილს ხმის უფლება აქვს (და იყენებს კიდევც), ხოლო მათ ოჯახში რამდენიმე პოტენციური ამომრჩეველი ცხოვრობს, რომელთა არჩევანიც ხმის მიცემისას, შესაძლოა სუბიექტის სწორად დაგეგმილმა კამპანიამ განაპირობოს.

1.4. მისიზმი

ამომრჩეველთა ანალიზისა და მათი სეგმენტაციის შემდეგ, სუბიექტმა უნდა გადაწყვიტოს თუ რას ეტყვის მათ, იმაში დასარწმუნებლად რომ ხმა მისცენ მას და არა მის კონკურენტს. ეს კი კარგად უნდა ჩანდეს კანდიდატის საარჩევნო მესიჯში. მან უნდა აჩვენოს სუბიექტის განზრახვა არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით და გარდა ამისა, ხაზი უნდა გაუსვას მის უპირატესობას.

ერთი შეხედვით, იოლი ჩანს, თუცა სამუშაო პროცესი ცხადყოფს, რომ ეს ასე არაა, ხოლო ეფექტური მესიჯის შექმნა და მიწოდება კომპლექსური და რთული საქმეა.

თუმცა თავდაპირველად ხაზი გაესვას, თუ რა არ არის მესიჯი – მესიჯი არ არის, სუბიექტის საარჩევნო პროგრამა, იმის შესახებ თუ რას გააკეთებს; მესიჯი არ არის იმ აქტივობების ჩამონათვალი, რომელსაც იგი, როგორც კანდიდატი მიმართავს არჩევის შემთხვევაში და არც უბრალოდ სხარტი და მოქნილი ფრაზაა. მესიჯი ეს არის ყველა ზემოჩამოთვლილი კომპონენტის ერთობლიობა.

არჩევნებში გამარჯვების მსურველებმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინონ ორი დეტალი: 1. ამომრჩევლებს აქვთ უამრავი საკმე, ამდენივე პრობლემა და ყოველდღიური წერილმანი, ამიტომაც სუბიექტმა არ უნდა იფიქროს, რომ თუნდაც ყველაზე ლოიალურად განწყობილი ადამიანი მის საარჩევნო კამპანიას დიდ დროს დაუთმობს; 2. ამომრჩევლები ყოველდღიურად ჩართულები არიან ინფორმაციულ ქარცეცხლში, იქნება ეს სატელევიზიო თუ წერილობითი ნიუსები, სამსახურებრივი რეპორტები, ჟორები მეზობლებისა და მეგობრებისგან და ა.შ. საარჩევნო სუბიექტმა უნდა მოახერხოს და ამ ინფორმაციულ ნაკადში, თავისი მესიჯი მათ ყურამდე უმტკივნეულოდ და დიდი ძალისხმევის დახარჯვის გარეშე მიიტანოს.

შესაბამისად, ვიდრე კამპანიები და კანდიდატები ხარჯავენ დღეებს, კვირებსა და თვეებს თავიანთი მესიჯის ჩამოსაყალიბებლად და ამომრჩევლამდე მისატანად, სუბიექტს უნდა ახსოვდეს, რომ ამომრჩეველმა შესაძლოა მხოლოდ ორი წუთი დაუთმოს. ამიტომაც, უნდა მოუფრთხილდეს ამ ორ წუთს და არ უნდა გაუშვას შანსი, რათა სწორედ იმ მცირე დროში მოახერხოს ამომრჩევლის დარწმუნება, რომ ხმა მას მისცენ.

კარგი მესიჯის მახასიათებლები:

- მესიჯი უნდა იყოს მოკლე;
- მესიჯი უნდა იყოს დამაჯერებელი და ადეკვატური;
- მესიჯს უნდა ჰქონდეს დამარწმუნებელი ხასიათი;
- მესიჯი უნდა იყოს ამომრჩევლისათვის მნიშვნელოვანი;
- მესიჯმა უნდა აჩვენოს კონტრასტი;
- მესიჯი უნდა იყოს ცხადი და გულწრფელი;
- მესიჯი უნდა იყოს გათვლილი კონკრეტულ ადამიანებზე;

და ბოლოს, მესიჯი უნდა იყოს გამეორებული კიდევ და კიდევ. პოლიტიკის „ოქროს წესია“ – პოლიტიკური კამპანია ეს არის კომუნიკაციური პროცესი, ამიტომაც უნდა მოიძებნოს სხარტი და ეფექტური მესიჯი, მისადაგოს იგი კონკრეტულ საზოგადოებრივ ჯგუფებს და უნდა იყოს გამეორებული და გამეორებული დაუღალავად.

1.5. ამომრჩეველთან ურთიერთობის გეგმა

ეს არის ეტაპი, რომლის დროსაც სუბიექტმა თავისი მესიჯის ამომრჩევლამდე მიტანის სტრატეგია უნდა დასახოს. ასეთი გეგმის შემუშავება და განხორციელება ერთგვარ ხერხემლად უნდა იქცეს კამპანიის პერიოდში. ამისათვის კი, ჯერ უნდა გაანალიზოს ის

ადამიანური თუ ფინანსური რესურსი, რომელიც მის საარჩევნო შტაბს აქვს, რის შემდეგაც ზემოთ ნახსენები ეტაპების გავლით, უნდა დაიწყოს აქტიური კომუნიკაცია.

კომუნიკაცია შესაძლოა უამრავ ხერხსა თუ ფორმას მოიცავდეს, რომელთაგან მხოლოდ ნაწილზე იქნება ქვემოთ საუბარი. ეს ფორმები შესაძლოა იყოს:

- რეკლამა;
- შეხვედრები ფართო აუდიტორიასთან;
- კარდაკარ შეხვედრები;
- მოხალისეთა და მეგობართა ჩართვა კამპანიაში;
- დღესასწაულის გამოყენება/გამოგონება;
- არასაარჩევნო ღონისძიებებზე გამოჩენა;
- თემის ლიდერების ლოიალობის მოპოვება;
- წერილობითი დოკუმენტების/პერიოდიკის გავრცელება;
- მასმედიასთან ურთიერთობა;
- მეილ-ლისტების გამოყენება;
- სოციალური მედია;

2. გეგმის განხორციელება

ყველა ზემოჩამოთვლილი ეტაპი, შეიძლება ითქვას, რომ მოსამზადებელი სამუშაო იყო მთავარი აქტივობისათვის – გეგმის განხორციელებისათვის. ვინაიდან შეუძლებელია საუბარი გეგმის ყველა კომპონენტზე, მხოლოდ ორ მათგანზე შევჩერდებით. ესაა **მედიასთან ურთიერთობა და სოციალური მედიის გამოყენება** კამპანიაში.

2.1. მედიასთან ურთიერთობა

მასმედია (რომელიც მოიცავს, როგორც სატელევიზიო, ისე ვებ- და ბეჭდურ მედიას, რეგიონულ მედიას და მედიასაშუალებებს, რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ვრცელდება) არ არის ერთგვაროვანი წარმონაქმნი და სუბიექტმა უნდა გაითვალისწინოს თითოეული მედიასაშუალების სპეციფიკა მათთან კონტაქტისას. თუმცა, არსებობს ზოგადი წესები, რომლებსაც ნებისმიერი მედია მისდევს რესპონდენტებთან ურთიერთობისას.

საწყის ეტაპზევე, საარჩევნო გუნდში უნდა გამოიყოს ადამიანი, რომელსაც დავალებული ექნება მედიასთან ურთიერთობა, ხოლო არასაკმარისი ადამიანური რესურსის შემთხვევაში, რომლის საქმიანობაშიც შევა სუბიექტის ონლაინ კამპანიის დაგეგმვაც. გაითვალისწინეთ, რომ სხვადასხვა წყაროდან, ინფორმაციის შეუთანხმებლობის შემთხვევაში, შესაძლოა პრესაში გაუთვალისწინებელმა და არასასურველმა ინფორმაციამ გაჟონოს. ნებისმიერი კომენტარის/ინტერვიუს წინ, თუკი ამის საშუალება არსებობს, სუბიექტმა უნდა გაიაროს კონსულტაცია შტაბის მედიასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირთან.

„მოეპყარით მედიას ისე, როგორც გინდათ, რომ მედია მოგეპყროთ თქვენ,“ – შეიძლება ითქვას, რომ ეს მასმედიასთან ურთიერთობის „ოქროს წესია.“ რა თქმა უნდა, ეს არ გამოორიცხავს მედიის მხრიდან სხვადასხვაგვარ ინსინუაციებს, თუმცა სუბიექტს უნდა ახსოვდეს, რომ ის არის პასუხისმგებელი პირი, რომლის ნებისმიერი არასათანადო ჟესტიც შესაძლოა მედიამ კიდევ უფრო გაზვიადებულად გამოიყენოს მისსავე წინააღმდეგ. ამიტომ, საარჩევნო კანდიდატი უნდა იყოს ყოველთვის კორექტული, გაწონასწორებული, კეთილგანწყობილი და მომზადებული იმისათვის, რომ საქმე გაუიოლოს ჟურნალისტებს მასთან კონტაქტისას.

ყოველთვის უნდა შეეცადოს, მოწესრიგებული ჰქონდეს მედიასთან ურთიერთობის დოკუმენტები, იქნება ეს ანონსი, პრეს-რელიზი, საინფორმაციო წერილი, პრესკიტი, ბროშურა, ანგარიში და ა.შ.

რელიზების გაგზავნიას, შეეცადოს, რომ დაუკავშირდეს უშუალოდ ჟურნალისტს და არ გააგზავნოს მხოლოდ მედიაორგანიზაციის საერთო მეილზე. რელიზი უნდა იყოს დაწერილი გასაგები ენით, არ უნდა იყოს უსაშველოდ ვრცელი და მთავარი სათქმელი ყოველთვის დასაწყისშივე უნდა ითქვას.

ჟურნალისტებს უყვართ ექსკლუზივები, ამიტომაც სუბიექტი ყოველთვის უნდა ეცადოს, მათ ყურამდე მისთვის სასარგებლო ინფორმაცია თავად მიიტანოს და არა ვინმე სხვამ.

რეკომენდაციები:

- ✓ აუცილებლად შექმენით ჟურნალისტთა საკონტაქტო ბაზა, რომელსაც გამოიყენებთ როგორც გეგმიური, ასევე კრიზისული სიტუაციების დროს.
- ✓ შესაძლებლობის ქონის შემთხვევაში, ყოველთვის უპასუხეთ ჟურნალისტის ზარს (მეილს), ხოლო თუ დაკავებული ხართ, მოგვიანებით დაუკავშირდით მას და გადაამოწმეთ, ხომ არ გამოადგებით მას რაიმეში.
- ✓ ინტერვიუების მიცემისას, იმეორეთ თქვენი საარჩევნო მესიჯი, საჭიროების შემთხვევაში, ტექნიკურად აუარეთ გვერდი არასასურველ შეკითხვებს და შეეცადეთ, თქვენთვის სასურველი მესიჯების გაჟღერებით გადაფაროთ ჟურნალისტის პროვოკაციული შეკითხვები.
- ✓ გახსოვდეთ, რომ კამპანია ეს არის საზოგადოებასთან უწყვეტი კომუნიკაციის პროცესი, ხოლო მედია ამ პროცესის უშუალო და აუცილებელი მონაწილეა.

2.2. სოციალური მედია

სოციალური მედიის განსაკუთრებული მნიშვნელობა და პოტენციალი, 2014 წელს, უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ აღარ დგას. ამჟამად, საკითხი დგას შემდეგნაირად: ჩანაცვლებს თუ არა ის ტრადიციულ მედიას ბოლომდე?! თუმცა, ეს კომუნიკაციების თეორეტიკოსთა სადარდებელი უფროა, საარჩევნო კანდიდატთათვის მთავარია, სრულად ჰქონდეთ გააზრებული სოციალური მედიის მნიშვნელობა და ის შესაძლებლობები, რასაც სოციალური ქსელები აძლევს მას, როგორც საარჩევნო სუბიექტს. სოციალური მედია სუბიექტის „პარტნიორი“ ორი ნიშნით – ინფორმაციის გავრცელებისა და ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით შეიძლება იყოს. თუმცა, მანამდე რამდენიმე სიტყვით, საქართველოში ინტერნეტიზაციის პროცესის შესახებ, რათა დადასტურდეს, რომ ინტერნეტი მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო წყაროა, იმისდა მიუხედავად, რომ საქართველოში რეგიონებში, ქალაქთან შედარებით, ინტერნეტპენეტრაცია ნაკლებია.

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) 2012 წლის მონაცემების მიხედვით, წინა წელთან შედარებით, გაზრდილია დედაქალაქსა და სოფლებში მაცხოვრებელთა რიცხვი, რომლებიც ინტერნეტს ყოველდღიურად იყენებენ. თუ 2011 წელს თბილისში ეს მაჩვენებელი 41%-ს შეადგენდა, მომდევნო წელს იგი 46%-მდე გაიზარდა. რაც შეეხება იგივე მონაცემებს სოფლების შემთხვევაში, 2011 წლის 4%-იანმა მაჩვენებელმა 7%-მდე მოიმატა. ქალაქებში კი მსგავსი მაჩვენებელი ორივე წელს 28% გახლდათ. ინტერნეტის მომხმარებელთა აბსოლუტური უმრავლესობა კი ყოველდღიურად ან კვირაში რამდენჯერმე იყენებს სოციალურ მედიას.

აქედან გამომდინარე, ეჭვს არ უნდა იწვევდეს სოციალური ქსელების განსაკუთრებულობა და მათი გამოყენების აუცილებლობა საარჩევნო კამპანიების წარმართვისას.

2.2.1 Gmail-ის უპირატესობა

ელექტრონული ფოსტა საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი ძირითადი ხელსაწყოა, როგორც ოფიციალური საქმიანობის, ასევე ამომრჩევლებთან კონტაქტის თვალსაზრისით. ამიტომაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ ფოსტის საწარმოებლად მაქსიმალურად კომფორტული და მულტიფუნქციური პლატფორმა იქნეს არჩეული. დღესდღეობით კი, ამ თვალსაზრისით, Gmail უალტერნატივოა.

ფოსტაში მიღებული ან გაგზავნილი წერილები შეგიძლიათ დააღაგოთ სხვადასხვა ფოლდერში, თემატურად თუ სხვა პრინციპით. ასევე, Gmail განსაკუთრებულად მოსახერხებელია ძიების (ე.წ. სერჩის) მხრივ.

ელექტრონული ფოსტის ფუნქციის გარდა, Gmail მომხმარებელს სთავაზობს **დოკუმენტების წარმოების ონლაინ პლატფორმას, კალენდრის დაგეგმვის ძალზე კომფორტულ და**

მოსახერხებელ საშუალებას (როგორც კომპიუტერების, ასევე სმარტფონების და აიფონების გამოყენებით). გარდა ამისა, ის იქნება ინტეგრირებული კიდევ ერთ სოციალურ ქსელთან Youtube.com-თან, რომელიც გარდა იმისა, რომ იქნება სუბიექტის ერთგვარი საინფორმაციო არხი ინტერნეტმომხმარებლებთან კონტაქტისას, იძლევა საკმაოდ კარგ საშუალებას მესიჯების გასაავრცელებლად და ონლაინ კონფერენციების მოსაწყობადაც კი, „ლაივსტრიმიგნის“ მეშვეობით.

2.2.2 Facebook

რაც შეეხება საქართველოში ყველაზე პოპულარულ სოციალურ ქსელს – Facebook-ს, შეიძლება ითქვას, რომ მას სუბიექტის საარჩევნო კამპანიაში ფასდაუდებელი სამსახურის განევა შეუძლია. Facebook-ის გამოყენება შესაძლებელია ეფექტური კომუნიკაციისათვის როგორც მედიასაშუალებებთან, ასევე უშუალოდ ამომრჩევლებთან. სოციალური ქსელები საუკეთესო საშუალებაა, რათა სუბიექტი თავად მივიდეს მედიასთან (ამომრჩეველთან), თუკი მედია არ მოდის მასთან. ხილვადობა არის ის კომპონენტი, რომელიც საარჩევნო კანდიდატის კამპანიას ყველაზე მეტად სჭირდება.

ცნობისთვის: Facebook-ის იმ მომხმარებლებში, რომლებიც საქართველოდან არიან დარეგისტრირებული, ქალები უფრო მეტია, ვიდრე კაცები. 2013 წლის 6 აპრილის მონაცემებით, იმ პირთა რიცხვმა, რომლებიც საქართველოდან არიან ფეისბუქზე, 1 028 840 შეადგინა. აქედან 560,040 ქალია და 465,840 კაცი, მცირე ნაწილს კი სქესი მითითებული არა აქვს.

რამდენიმე რეკომენდაცია Facebook-ის გამოყენებისას:

- წერეთ მხოლოდ ქართული შრიფტით;
- მოერიდეთ ზედმეტად პრივატული პოსტების (განსაკუთრებით ფოტოების) გაზიარებას;
- შეეცადეთ, ვიზუალურად ასახოთ თქვენი ყველა საარჩევნო აქტივობა;
- ზოგადად, ყურადღება მიაქციეთ ვიზუალურ მხარეს და შეეცადეთ სოციალურ ქსელში მაქსიმალურად მოწესრიგებული იყოთ, გამოკვეთილი გქონდეთ თქვენი ცოდნისა და კომპეტენციის სფეროები.
- დაიხმარეთ Facebook-ი აქციების, ღონისძიებების ორგანიზებასა და გაპიარებაში;
- შეარჩიეთ საუკეთესო დრო ინფორმაციის გამოსაქვეყნებლად (11:00 – 13:00 სთ ან/და 21:00 – 23:00 სთ);
- მუდამ ადევნეთ თვალი აქტიური განხილვის თემებს სოციალურ ქსელებში;

- ეცადეთ არ დაგრჩეთ უყურადღებოდ და უპასუხოდ არც ერთი წერილი თუ კომენტარი, რომელიც თქვენი კანდიდატის სასარგებლოდ იქნება დაწერილი;
- ნუ იქნებით ნურც ზედმეტად პასიური და ნურც ზედმეტად აქტიური, სოციალურ ქსელებში. „ოქროს შუალედი“ ყოველთვის უფრო ღირებულს გახდის თქვენ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას;
- ეცადეთ არ აყვეთ ე.წ „ინტერნეტროლებს“, რომლებიც ინტერნეტსივრცეში თქვენს პროვოცირებასა და დისკრედიტაციას შეეცდებიან;
- განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ რეალურ ცხოვრებაში უხილავი ჯგუფების ონლაინ აქტივობებს;
- მიაღწევთ თვალყური სოციალურ მედიაში არსებულ სიახლეებს. ადამიანებს მოსწონთ როდესაც მუდამ თანამედროვე ხართ;
- ეცადეთ აჩვენოთ თქვენი ადამიანური მხარეები და ნუ მოახდენთ საკუთარი თავის, როგორც მხოლოდ საარჩევნო სუბიექტის პრეზენტაციას;
- უმჯობესი იქნება, თუკი წინასაარჩევნოდ თქვენს ოფიციალურ Facebook-გვერდს გახსნით და არ მოახდენთ საქმიანი და პირადი სივრცეების აღრევას.
- მოახდინეთ თქვენი Facebook-გვერდისა და სხვა სოციალური ქსელების (მათი ქონის შემთხვევაში) ინტეგრირება;

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Municipal election in Canada: A Guide for Woman Candidates – Federation of Canadian Municipalities;
2. POLITICAL CAMPAIGN PLANNING MANUAL A STEP BY STEP GUIDE TO WINNING ELECTIONS – National Democratic Institute for International Affairs, 2009
3. „საზოგადოებასთან ურთიერთობა“ – დენის ლ. უილკოქსი, გლენ ტ. კამერონი – გამომცემლობა „დიოგენე“ 2011;
4. „ელექტრონული კომუნიკაციის განვითარება საქართველოში – ინტერნეტის ხელმისაწვდომობა“ – თეონა ტურაშვილი, IDFI, 2013